საქართველოს რესპუბლიკა



დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 23 მაისი, 2007 წელი.

№ 97 (5698)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომლისაც ბოლოდროინდელი სიფაქიზეა, ფაქიზებით და ჯობებით ბოლომდის გაფანა ყველა უკანასკნელ. ... უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.

გაერთიანებული ოპოზიცია

ХАВАР ЛОМАЗИС ФОТО.

გაერთიანებული პარლამენტსმილმა ოპოზიციის ზოგმა პარტიამ თუ მოძრაობამ გუშინ ჯერ ცალ-ცალკე გამართა აქციები და პრესკონფერენციები, მერე კი, 17 საათზე, ერთიანად შეიკრიბა პარლამენტის წინ. ძველ სოციალურ და პოლიტიკურ მოთხოვნებს ორი დაემატა: კობა დავითაშვილმა ფერიის მთაზე მართლმადიდებელი ტაძრის დანგრევაში საქართველოს პრეზიდენტი დაადანაშაულა და მომხდარის გამო პასუხი მისგან მოითხოვა, ხოლო ჯონდი ბაღათურიამ ხელისუფლებას პასუხი ქალაქის მე-9 კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე მდებარე ანდრია პირველწოდებულის ტაძრის გაყიდვა-დანგრევის მცდელობისთვის მოსთხოვა.

საქართველოში ეკლესიებისა და ჯვრების ხელყოფა სულაც არ არის შემთხვევითი!

2

9 აპრილიდან — ფერიის მთამდე

მიხეილ სააკაშვილს საშიში ოფინაალმდეგე გამოუჩნდა

10

რასან ზარბაზნების გრუხუნი არ გვესმის...

7

◎ ეს სასწაულია!

კობა ფანცხავას ფენომენი

12

სახელმწიფო

● მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. არ მინდა რაღაც მარჩიელობა გამოვიდეს, მაგრამ ამ ეტაპზე ერთი რამ კი აშკარაა: დღისით, მზისით, საქართველოს დედაქალაქში შეიძლება ასე მოკლან ადამიანი და ეს არ იყოს კრიმინალური გარჩევის შედეგი, მოკლან ღვაწლმოსილი პროფესორი

◎ ცხელი თემა

დეპუტატები გამოძიებას დაელოდებიან

საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გურამ შარაძის მკვლელობას პოლიტიკასთან არანაირი კავშირი არ უნდა ჰქონდეს, რადგანაც იგი ბოლო დროს პოლიტიკაში ჩართული არ იყო და მხოლოდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. ამიტომ რომელიმე პოლიტიკურ ძალას ან პოლიტიკურ დაჯგუფებას მისი მოკვლის განზრახვა არ ექნებოდა. საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები გამოძიებას დაელოდებიან. თუ გამოძიების პროცესში რაიმე საეჭვოს შეამჩნევენ, ამოქმედდებიან.

გიორგი ცაგარეიშვილი: „ბატონი გურამი საქართველოს პარლამენტში ჩვენი პარტიის სიით იყო გასული. მის ოჯახსაც ძალიან კარგად ვიცნობ. ეს არის შემზარავი დანაშაული. არ მინდა ვიფიქრო, რომ მას რამენაირი პოლიტიკური ელფერი დაჰრავს“.

კახა კუკავა: „გამომძიებლები არა ვართ, რომ რაიმე ვერსიებზე ვილაპარაკოთ. პირველდაწყებითი გამოძიებისთვის გონივრული ვადა, დავუშვათ, ორი-სამი კვირაა. დაველოდებით რა მიმართულებით წავა გამოძიება, შემდეგ აუცილებლად დავინტერესდებით როგორც გამოძიების მონაცემებით, ასევე თუ გამოძიება მიკერძოებულად წარმართა, ან მკვლელობის პოლიტიკური მოტივი გამოიკვეთა, პოლიტიკური პარტიები ამ პროცესის საპარლამენტო მონიტორინგში ჩაერთვება“.

მამუკა კაციტაძე: „მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. არ მინდა რაღაც მარჩიელობა გამოვიდეს, მაგრამ ამ ეტაპზე ერთი რამ კი აშკარაა: დღისით, მზისით, საქართველოს დედაქალაქში შეიძლება ასე მოკლან ადამიანი და ეს არ იყოს კრიმინალური გარჩევის შედეგი, მოკლან ღვაწლმოსილი პროფესორი. და კიდევ, ძალიან საინტერესოა ის ოფიციალური მოტივი, რაც, ფაქტობრივად, ნათელყოფს, რომ ეს არ იყო შემთხვევითი მკვლელობა. თუ რა ტიპის დანაშაული იყო, მას შემდეგ გახდება ცნობილი...“

საპარლამენტო უმრავლესობა პოლიტიკასთან ამ მკვლელობის ყოველგვარ კავშირს გამორიცხავს. აცხადებენ, დანაშაულის დეტალები მალე გაირკვევა.

საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები ქვეყანაში კრიმინალური ფონის დამძიმებაზეც ალაპარაკდნენ.

მზია გელენავა

◎ მკრეხელობა

9 აპრილიდან — ფერიის მთამდე

გენერალმა სარდლობის ბრძანება არ შეასრულა - ტანკები ხალხზე არ გადაატარა!

ფერიის მთაზე მართლმადიდებელი ტაძრის დანგრევამ შაჰ-აბას პირველი და საქართველოს სხვა ოდინდელი დამაქცევარნი კი არ გამახსენა, არამედ, უპირველესად — ის 9 აპრილი და იმ ტრაგედიის მერმინდელი სირაქლემობანას თამაში. ალბათ, ბევრს ახსოვს, როგორ იკატუნებდა თავს გორბაჩოვის თამადობით მთელი პოლიტბიურო, უმაღლესი გენერალიტეტი, ჩვენ არაფერ შუაში ვართო. იმ ბარბაროსობის ერთი წერილობითი ბრძანებაც ვერ აღმოაჩინეს. სახალხო დეპუტატთა პირველ საკავშირო ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი და ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი ვითომც

გასული საუკუნის 70-იან წლებში, ჩემი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დროს სამხედრო კათედრაზე ერთი აზერბაიჯანელი პოდპოლკოვნიკი იყო.

აი, რა მიამბო მისმა კარგა შექეიფებულმა კოლეგამ. 1956 წელს, უნგრეთში ანტისაბჭოთა გამოსვლების დროს, ის პოდპოლკოვნიკი თურმე, გენერალ-მაიორი იყო და სატანკო შენაერთს მეთაურობდა. წარმოიდგინეთ, ბუდაპეშტში ბუდადან პეშტიში გადასასვლელ ხიდზე ნემსიც რომ არ ჩავარდება, ხალხია დაწოლილი და გზას კეტავს. გენერალმა სარდლობას მოახსენა ვითარება. იქიდან გადამჭრელი ბრძანება გაისმა: „წინ!“ და გენერალმა ეს ბრძანება არ შეასრულა...

ხელვაჩაურის გამგებელს კი სიმამაცე არ ეყო, ბრძანების შესრულებაზე უარი ეთქვა.

პრეზიდენტი უწმინდესსა და უნეტარესს შეხვდა და ყველაფერი გაირკვა, დალაგდაო. სახელდობრ, თურმე ყველაფრის თავი და თავი აჭარის ადმინისტრაციისა და ეპარქიას შორის ინფორმაციის ნაკლებობა, არასაკმარისად მჭიდრო თანამშრომლობა ყოფილა. გაუგებრობა იყოო. დალოცვილნო, ჯერ გაგერკვიათ ეს ე. წ. „გაუგებრობა“ და მერე „მიგექსიათ“ უფლის სახლისთვის ბულდოზერი!

ასეთი „ახსნა-განმარტება“ კინოფილმ „ნათლიადან“ მახსენებს ფრაზას, „ნუ შეურაცხყობ ჩემს ინტელექტსო!“

ჯვარზე გაკრულმა, ნაგვემმა მაცხოვარმა, უფალს შესთხოვა, შეუნდე, მამაო, რამეთუ არა უწყიან, რასა იქმენო. უფალი ყოვლისშენმდობია, ოღონდ გულით მოიწადინე. ფერიის ეკლესიის დამანგრევთ კი, საუბედუროდ, სწორედ ამის სურვილი არა აქვთ.

კონსტანტინე გურგენიძე

◎ პრესკონფერენცია

კობა დავითაშვილი: საქართველოში ეკლესიებისა და ჯვრების ხელყოფა სულაც არ არის შემთხვევითი!

აჭარაში, ფერიის მთაზე, ეკლესიის დანგრევამ და ჯვრის ხელყოფამ მძაფრი პროტესტი გამოიწვია. ამ მკრეხელური ფაქტის წინააღმდეგ ხალხმა გაილაშქრა.

კომპრომისი გამოინახა (თუმცა მკრეხელობა მკრეხელობად რჩება), ფერიის მთაზე ტაძარიც, ფუნიკულიორიც აიგება და იქაურობა სულიერი და ფიზიკური დასვენების ადგილად იქცევა.

მომხდარზე თავისი შეხედულებები აქვს „ხალხის პარტიის“ ლიდერს კობა დავითაშვილს. გუშინ, მან ამ საკითხს სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა:

„ეს პროცესები სულაც არ არის შემთხვევითი, — განუცხადა მან პრესკონფერენციაზე მისულ ჟურნალისტებს, — მსგავსი ფაქტები არ ხდება მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით. მინდა გაცნობოთ — ერთი თვის წინათ ხაშურშიც მოხსნეს ჯვარი. ეს შემთხვევით მოვლენად მივიჩნიეთ, არ გამოვეხმაურეთ. ახლა კი შეიძლება ითქვას — ეს ფაქტები ერთი, საერთო ცენტრიდან იმართება და, მას ქვეყნის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს.

ეკლესიას აქვს გაცილებით უფრო მაღალავტორიტეტი, ვიდრე ხელისუფლებას. ეს აღიზიანებს სააკაშვილს, ვერ იტანს ავტორიტეტულ ორგანიზაციებს ან პიროვნებებს, რომლებმაც შეიძლება მისი დიდება დაჩრდილონ...“

დავითაშვილს მიაჩნია, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრიობის აქტიურობას: „ისინი აკვირდებიან ხალხის რეაქციას. ხაშურში მოხსნეს ჯვარი — არავის ხმა არ ამოულია. გათამამდნენ და იგივე გაიმეორეს აჭარაშიც. როდესაც დაინახეს, რომ ხალხმა მძაფრი წინააღმდეგობა გასწია, უკან დახევა ამჯობინეს.

საზოგადოებაზე, მის რეაქციაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. როგორც ინგა გრიგოლია იტყოდა — „გქონდეთ თქვენი რეაქცია!“ — თავისებური ხუმრობით დაასრულა პრესკონფერენცია „ხალხის პარტიის“ ლიდერმა. და ქართველ ხალხს უფრო მეტი სიფხიზლისკენ, აქტიურობისკენ მოუწოდა.

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ სამი საუნჯე

მართლმადიდებლობის სიწმინდეთა შეურაცხყოფა უკვე ტენდენციაა!

არის ზღვარი, რომლის გადალახვაც არავის ეპატიება. ასეთთაგანია სიწმინდეების ხელყოფა. ხელისუფლება უკვე უფლის სახლებს ანგრევს და რელიგიურ სიმბოლოებს ანადგურებს. გუშინ სესიაზე გამოსვლისას, პარლამენტარ ზვიად ძიძიგურის თქმით, ჩოლოქში, ხაშურის ცენტრსა და ხობში ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაბრძანებული ჯვრები მოხსნა და ჯართში გადაყარა. ამას დაურთეთ ფერიის მთის ამბავი და მართლმადიდებლობის სიწმინდეთა შეურაცხყოფის, ზოგადად მართლმადიდებლობის მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულების ტენდენცია აშკარად გამოიკვეთება. მისივე თქმით, პრეზიდენტის რწუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთში ზაზა გოროზია გააფთრებული ეწინააღმდეგება ფოთში საკათედრო ტაძრის მშენებლობას. უმრავლესობის შესიტყვება არგუმენტებს მოკლებული ჩვეული დემაგოგია იყო...

კიდევ უფრო გააქტიურდა პარლამენტსმილმა ოპოზიცია. გუშინ ქაშვეთის ტაძართან „ქართული დასი“ შეიკრიბა. მათი თქმით, ხელისუფლებას მე-9 კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე არსებული სამრეკლოს დანგრევა და ტაძრის გაყიდვა უნდა. ამ პრობლემაზე, საპატრიარქოს მცდელობაზე, ოფიციალურად დაამტკიცოს, რომ ეს მისი კუთვნილი ტერიტორიაა (მე-9 საავადმყოფო ლაზარეთად აშენდა მონასტრითურთ) და ეკონომიკის სამინისტროს ცინიზმზე, ადრე წერდა ჩვენი გაზეთი. ხელისუფლების ეს ქმედება ზემოხსენებული ტენდენციის კიდევ ერთი დასტურია.

„სახალხო პარტიის“ ლიდერმა მამუკა გიორგაძემ კი პრესკონფერენცია გამართა.

ეროვნული მოძრაობა თავიდან უნდა დაიწყოს. ხალხი კვლავ ეროვნულმა იდეამ უნდა შეადუღაბოსო, — ლაიტმოტივად გასდევდა პრესკონფერენციას.

აღინიშნა, რომ ფერიის მთის ტაძრის დანგრევით ხელისუფლებამ ბოლომდე გამოავლინა თავისი სახე.

უმთავრესი კი ესაა: ხალხი, მართლმადიდებელი ერი, ყოველგვარი მოწოდების გარეშე მტკიცედ დადგა დიდი ილიასეული ენა, მამული, სარწმუნეობიდან ერთ-ერთის — სარწმუნოების დასაცავად. თუმცა, ამ სამიდან ნებისმიერი ერთის დაცვა, თავისთავად სამივეს დაცვას გულისხმობს, ისევე, როგორც ერთ-ერთის ხელყოფა სამივეს ხელყოფაა.

კოტე სარალიძე

რა დღეშიც ვარ

— გამოსავალი, ამ შემთხვევაში, ლოცვაში და მონანიებაში უნდა ვპოვოთ. ლოცვა მხოლოდ ერთეული გზააბნეულის მონანიების საგანი არ უნდა იყოს. მოსანანიებელი აქვს მთლიანად ჩვენს ხალხს, იმისათვის, რაც ჩვენს თავს ხდება

ექო

აჭარაში, ამაღლების დღესასწაულზე ფერრის მთაზე მშენებარე სამონასტრო კომპლექსის დემონტაჟმა და ქობულეთის გზაზე ჯვრის აღებამ მართლმადიდებელი საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. მართლმადიდებელ საზოგადოებას მხარი დაუჭირეს სხვა რელიგიის წარმომადგენლებმაც. ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას აცხადებს, რომ აჭარაში მომხდარი ერის სირცხვილია და ამ ლაქის ჩამორეცხვა მხოლოდ მისი დანგრევის ავტორის მიერ საჯარო მონანიებით შეიძლება.

ვიმედოვნებ, ეკლესიის დანგრევის ბრძანების გამცემი საჯარო მონანიების ძალას მონახავს

— ბატონო სოსო, რა შეფასებას მისცემთ ხელვაჩაურში ფერის მთაზე მშენებარე სამონასტრო კომპლექსის დემონტაჟს?

— პოსტსაბჭოთა პერიოდში ქვეყანა, რომლის ხელისუფლებას ანალოგიური რამ ჩაედინოს, არ მეგულება. ეს სხვა მრწამსის, სხვა ჯიშის ხელისუფლების ნამოქმედარს ჰგავს. დამოუკიდებელი ქვეყანა, რომელიც თავად წყვეტს საკუთარი განვითარების პრიორიტეტებს, ისეთ საქციელს ჩადის, რაც ჩვენს დაბალ სულიერებაზე მიუთითებს.

სიტყვაში „ჩვენ“ არა მარტო ხელისუფლება, არამედ მისი ამომრჩეველი — ქართველი ერი იგულისხმება, რისთვისაც თითოეულმა ჩვენგანმა პასუხისმგებლობა უნდა ვიგრძნოთ.

ასეთი ქმედება არ შეიძლება რეაქციის გარეშე ინსტიქტურადაც კი დატოვო. უმოქმედობას საზოგადოება დროის მატებასთან ერთად უფრო მტკივნეულად აღიქვამს.

— ხელისუფლებას ამ საქციელის, გამოსწორება შეუძლია?

—ვიმედოვნებ, რომ ეკლესიის დასანგრევად გაცემული ბრძანების ავტორი, საჯარო მონანიების ძალას მონახავს. ერისა და ბერის ერთიანობაზე მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ. მომხდარი არა მარტო შემაძრწუნებელია, არამედ ეს არის დიდი ისტორიული სირცხვილი, „ლაქის ჩამორეცხვის“ პირველი გზა კი საჯარო მონანიებაა.

ასეთ პრეცედენტებს გზააბნეული ხელისუფლების მხრიდან ხალხის ადეკვატური რეაგირება ყოველთვის უნდა მოჰყვეს. უსუსური არგუმენტები, რომ ქობულეთში ჯვრის მოხსნა მძღოლების ხელისშემშლელი ფაქტორია, არ შეიძლება ჩაითვალოს მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებად, ეს უფრო უმეცრების დამადასტურებელი შედეგია.

— როგორ შეაფასებთ საზოგადოების რეაქციას?

— აჭარაში მომხადარ ორივე შემთხვევაში მრევლის რეაქცია სულიერი განცდის საფუძველია, ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ ქართველი სარწმუნოებით ცოცხლობს. ამის გამოხატვა კომუნისტური წყობილების შუა პერიოდში შეუძლებელი იყო.

დღეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, შუაღამისას ჯვრით ხელში ქობულეთის გზაზე მიმავალი მრევლის ნახვა, ვიდრე ცალკე აღებული ერთი ჯვარი. ეს ნიშნავს, რომ ერიც და ეკლესიაც ძლიერია. სარწმუნოება თავსმოხვეული და ყალბი არ არის. მას რეალურად ბევრი მიმდევარი, სერიოზული რაოდენობის მრევლი ჰყავს. არა მარტო სარწმუნოება განმტკიცდა, არამედ — მისი დაცვის ძალაც.

— სამონასტრო კომპლექსის დემონტაჟმა მართლმადიდებელ მრევლთან ერთად სხვა რელიგიის წარმომადგენლებიც აღაშფოთა. რა შეფასებას მისცემთ მათ რეაქციას?

— ასეთი ქმედება ნებისმიერი სარწმუნოების წარმომადგენელს დააფიქრებს. თუ ტრადიციული, სახელმწიფო რელიგიის რანგში აყვანილი ეკლესიის ნგრევა არ ისჯება, მით უმეტეს, არაფრად ჩააგდებს არც ერთი სხვა რელიგიური ორგანიზაციის სალოცავს. ეს არის სახელისუფლებო თავხედობის ისეთი გამოხატულება, რომლისგანაც დაცვა არ შეუძლია არც ერთ სარწმუნოებას. მიმაჩნია, რომ აჭარაში დანგრეული ეკლესია და აღებული ჯვარი, მხოლოდ მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიმართულ აქცია არ არის.

— რაში ხედავთ გამოსავალს?

— გამოსავალი, ამ შემთხვევაში, ლოცვაში და მონანიებაში უნდა ვპოვოთ. ლოცვა მხოლოდ ერთეული გზააბნეულის მონანიების საგანი არ უნდა იყოს. მოსანანიებელი აქვს მთლიანად ჩვენს ხალხს, იმისათვის, რაც ჩვენს თავს ხდება.

სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისათვის ეკლესია ყოველთვის, როგორც მთელი ჩვენი ტანჯული ისტორიის განმავლობაში, ერის წინამძღოლობის სიმაღლეზე იქნება.

ესაუბრა
ხათუნა გაგნიძე
„ჯი-ეიჩ-ენი“

ინფორმაცია

ბერძენიშვილი პრეზიდენტს მოუწოდებს

საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წევრი დავით ბერძენიშვილი საქართველოს პრეზიდენტს მოუწოდებს, საჯაროდ აღიაროს ფერიას მთაზე ეკლესიის დანგრევასთან დაკავშირებული შეცდომა.

ბერძენიშვილმა გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, რომ „საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქმის კურსში იყო და კარგია, რომ გონს დროულად მოეგო და უკან დაიხია“.

მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილმა თუ შეცდომა საქართველოს პატრიარქის წინაშე აღიარა, მან შეცდომა საზოგადოების წინაშეც უნდა აღიაროს. „შეცდომის აღიარება სირცხვილი არ არის“ — განაცხადა ბერძენიშვილმა.

რას ნიშნავს „ლიბანიზაცია“?

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ნოდარ გრიგალაშვილი ოპოზიციას ეკლესიისადმი პატივისცემის საქმით დამტკიცებას ურჩევს და, იმავდროულად, მათ ცნობიერების ლიბანიზაციაში ადანაშაულებს. ამის შესახებ გრიგალაშვილმა გუშინდელ პლენარულ სხდომაზე მას შემდეგ განაცხადა, რაც ოპოზიციამ ხელვაჩაურის რაიონში ეკლესიის დანგრევის ფაქტი კიდევ ერთხელ გააპროტესტა. მისი თქმით, „თავის რაიონში მან მღვდლებისთვის სახელმწიფოს მანქანები აყიდინა, რათა ყველა სოფელში შეძლონ მისვლა“. გრიგალაშვილი დაინტერესდა, თუ რას აკეთებენ ოპოზიციონერი მაჟორიტარი დეპუტატები ამ მხრივ თავიანთ რაიონებში.

ამასთან, გრიგალაშვილის აზრით, პრობლემის ამოწურვამ და იმ ფაქტმა, რომ ფერიას მთაზე აშენდება ეკლესია, ფუნიკულიორიც და ქორწინების სახლიც ოპოზიციას გული ატკინა.

„ასე რელიგიური დაპირისპირებებითა და განხეთქილებით დაინგრა ლიბანი“, — აღნიშნა გრიგალაშვილმა და ოპოზიციას მოუწოდა, თავი შეიკავონ ცნობიერების ლიბანიზაციისგან.

ინტერპრესნიუსი

კონფლიქტის ზონა

ხარს ხართან ნუ დააბამთ

მამლების ყივილი და მოსკოვის ტელეარხების კრიახი ერთი იყო კვირადღე ჯერ ხეირიანადაც არ გათენებულიყო, რომ HTB და PTP მსოფლიოს აუწყებდნენ საქართველოს ხელისუფლების მორიგ ვერაგულ ქმედებას, რომელიც, მათი თქმით, მთელი ღამე ცხინვალის მასირებულ დაბომბვას აწარმოებდა. თუმცა ზრდილობის გულისთვის ისიც თქვეს, ქართული მხარე ამ ბრალდებას უარყოფსო.

მაინც, რა მოხდა კონფლიქტის ზონაში შაბათ ღამით?

სანდრო მამისაშვილი, ერგნეთი: „სროლა ღამის ცხრა საათზე დაიწყო. ცხინვალიდან ისეთ ყუმბარებს ისროდნენ, ცა იყო განითლებული. მეზობლის სახლს ჭურვი მოხვდა, აივანი და ფანჯრები მილეწ-მოლეწა, შემდეგ ცეცხლი ბოსელსაც გაუჩნდა, ძროხას ყუმბარის ნამსხვრევმა გულ-მუცელი გაუფატრა. ჩვენი სოფლის გარდა ნიქოზისა და ქვემო ხვითის მიმართულებითაც ისროდნენ.

ნაზი მარიამიძე, ნიქოზი: „სახლი რომ თავზე არ ჩამოგვნგრეოდა, მინდორში გავედით, ბავშვები თხრილში ჩავაწვინე და ზედ გადავეფარე, ეს პირველი შემთხვევა როდია. კიდევ კარგი, რომ ზაფხულია...“

ქართული მხარის მიერ საპასუხო ცეცხლის გახსნის შემდეგ სეპარატისტები გონს მოეგნენ და აქაურობას გაცლა ამჯობინეს. გავრცელებული ცნობით, ორი მოთარეშეა მოკლული და სამი — დაჭრილი.

მაინც რა უნდოდა ცხინვალელი სეპარატისტების მთავრობას, რატომ მოაწყო ეს სისხლიანი ბასტი-ბუბუ? საქმე ისაა, რომ 15 წელი შესრულდა ძარის გზაზე მომხდარი ტრაგედიიდან — სოფელ ძარასთან მგზავრებით სავსე ავტობუსი ჩაცხრილეს. იმ ფაქტს, რა თქმა უნდა, დიდი რეზონანსი ჰქონდა. სეპარატისტები „ქართულ კვალზე“ ალაპარაკდნენ, ბესლანის ტრაგედიის დღეებში „ქართულ კვალზე“ ლავროვი რომ იხეოდა, იმდაგვარად.

ცხინვალელებმა საქმის გამოძიებაში ქართული სამართალდამცავები ახლოც არ გაიკარეს — ემანდ დანაშაულის კვალზე არ გავიდნენო (სხვას რას იფიქრებს კაცი?! არადა, იმ ავბედით ავტობუსის მგზავრების მკვლელობაზე ყოვლად სამარცხვინო და დასაძრახისი ხმები ჯერაც არ მინავლულა. საქმეს მოსკოვის პროკურატურაც იძიებდა. დღემდე არანაირი დასკვნა ამ საქმის ირგვლივ არ გაკეთებულა, არც არავინ უმხელიათ დანაშაულში. ლიახვს გაღმა პრეზიდენტი კი ცრუობს, როცა ამბობს, ე. შევარდნაძემ, როგორც დამნაშავე მხარემ, ბოდიშიც კი მოიხადაო. იმ კაცს თავისი ცოდვებიც ეყოფა, ახალი რომ არ მივუსართოთ.

კოკოითის შაბათის შეიარაღებული შანტაჟი იმით დასრულდა, რომ უცხოელ დამკვირებელთა ჯგუფმა კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ვითარების დარღვევაში ოსური მხარე (ეს უკვე მერამდენედ!) დაადანაშაულა. მეტიც. გაირკვა, რომ სეპარატისტების ნასროლმა ჭურვმა შეცდომით რუსების გამაგრებულ პოსტს სულ მცირე სიმაღლეზე, თავზე გადაუფრინა, თორემ ბარე შვიდ-რვა „სტრატეგიულ მოკავშირეს“ ადგილზე გაათავებდა. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა.

ჯავისა და ცხინვალის პრეზიდენტმა ვერც ამჯერად შეიყვანა შეცდომაში საერთაშორისო საზოგადოებრიობა. კოკოითი სიცრუეში კვლავ გამოიჭირეს.

მოკლედ, ცრუ ბრალდებები, ცრუ განცხადებები, ცრუ შეპირებები, ცრუ პოლიტიკა, ცრუ ხელისუფლება, ცრუ პრეზიდენტი. ეს — კოკოითის პოლიტიკური პორტრეტის შტრიხებია.

ჰოდა, რუსეთელი მეზობლებო, ნუ დააბამთ ხარს ხართან, ათასობით და ათიათასობით უკეთესი და ნოყიერი საძოვრების პატრონთ რა ზნე გჭირთ ასეთი?

გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ საკ. კორ.

პერსპექტივები

● ჩვენი გათვლებით 2-მილიარდიან ინვესტიციას ველოდებით, რაც საკმაოდ დიდი ციფრია. თუმცა მისი გაზრდაც მოსალოდნელია. 2007 წელს მხოლოდ საბანკო სექტორიდან 700 მლნ. დოლარის ინვესტიციის შემოსვლაა ნავარაუდევი

◎ ეკონომიკა

ხელისუფლება საქართველოს ეკონომიკის აღმავლობაზე, ინვესტიციების ზრდაზე, საბანკო და საფინანსო სისტემის განვითარების თვალსაზრისით მიღწეულ წარმატებებსა და საქართველოს ტურისტულ პოტენციალზე საუბრობს. ოპონენტები შენიშნავენ, რომ ასეთი ოპტიმიზმი გადაჭარბებული და უადგილოა. ამის მაგალითად, არაერთ საერთაშორისო დონის ჩაშლილ ხელშეკრულებას ასახელებენ. ეკონომიკის ექსპერტები კერძო მესაკუთრეთა უფლებების უხეშ დარღვევაზე, ინვესტიციების მოსაზიდად არასასურველ გარემოზე, სოციალური ფონის აშკარა გაუარესებაზეც საუბრობენ.

ოპონენტთა ამ შენიშვნებს სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან" საუბარში საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი გიორგი არველაძე არ ეთანხმება. მინისტრის თქმით, ნებისმიერი ციფრი, რომელიც ეკონომიკის საზომად გამოიყენება, მიანიშნებს, რომ საქართველოში ეკონომიკა ვითარდება.

რა არის საქართველოს ეკონომიკის ძირითადი პრიორიტეტები და რა გეგმები აქვს გიორგი არველაძეს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის? რა შემთხვევაში დათანხმდება თბილისი რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას და კონკრეტულად რას ითვალისწინებს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ინიციატივა, რომელიც საკურორტო ზონებში კერძო საკუთრების საკითხებს ეხება? ამ და სხვა საკითხებზე „ჯი-ეიჩ-ენი" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს გიორგი არველაძეს ესაუბრა.

გიორგი არველაძე: თუ რუსეთი ნაკისრ ვალდებულებებს არ შეასრულებს, მსო-ში გაწევრიანების მრავალმხრივ ფორმატამდე ვერ მივიყვანთ

— გატონი გიორგი, საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებიან. როგორ შეაფასებს ქართულ ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებს თავად მინისტრი?

— დღეს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლებით არნახული ზრდა აქვს. ნებისმიერი ციფრი, რომელიც ეკონომიკის საზომად გამოიყენება, მეტყველებს, რომ საქართველოში ეკონომიკა ვითარდება. ოპონენტებს ვთხოვ, აიღონ ნებისმიერი საზომი, რომლითაც ეკონომიკა იზომება და დარწმუნდება, რომ ეკონომიკის არნახული, 9.4 %-იანი ზრდა და წინსვლა გვაქვს. ზრდა გვაქვს აგრეთვე ექსპორტში, საგარეო ვაჭრობაში და აშ.

2006 წელს არნახული ზრდა დაფიქსირდა ინვესტიციების მოზიდვის კუთხითაც. თუ არ ჩავთვლით ნავთობზე განხორციელებულ ინვესტიციებს, გამოდის, რომ 2006 წელს ინვესტიციების მოცულობამ მილიარდ 247 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ახალი საწარმოები და ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნება.

— რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად თბილისი მოსკოვს გარკვეულ პირობებს უყენებს. რამდენად პრინციპულია საქართველოს პოზიცია და რა აძლევს რუსეთს იმის თქმის საფუძველს, რომ 2007 წლის ბოლომდე ის მსო-ს წევრი გახდება?

— ჩვენ დასათმობი არაფერი გვაქვს. მსო-ში გასაწევრიანებლად მოლაპარაკებებს ყველა ქვეყანა ორმხრივ ფორმატში აწარმოებს. თუკი ორმხრივი მოლაპარაკება ყველა ქვეყანასთან შედეგიანად დასრულდა, უკვე მრავალმხრივი მოლაპარაკებები იწყება, რასაც ქვეყნის მსო-ში გაწევრიანება მოჰყვება.

თუ რუსეთის დელეგაციის ჩამოსვლისას გაირკვა, რომ მოსკოვი ნაკისრი ვალდებულებებისა და დადებული პირობების შესასრულებლად მზად არის, მაშინ მსო-ში გაწევრიანების საკითხზე საქართველო-რუსეთის მოლაპარაკებები მორიგ რაუნდზე გადავა, წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთს მრავალმხრივ ფორმატამდე ვერ მივიყვანთ.

რუსეთის მსო-ში არშესვლა ჩვენთვის თვითმიზანი ნამდვილად არ არის. მაგრამ ამას მაშინ დავთანხმდებით, თუ 2004 წელს ნაკისრ ვალდებულებებს შეასრულებს და ფსოუსა და როკის გვირაბთან არსებული საბაჟო-გამტარი პუნქტების ლეგალიზებას მოახდენს. საქართველოს პოზიცია მეტად ტექნიკურია და პოლიტიკური არ არის. რუსეთთან არსებულ პრობლემებზე, რომელიც მართლაც მრავლად გვაქვს, არ ვსაუბრობთ. არ უნდა დავუშვათ, რომ მსო-ს ფორმატში მიღწეული ორმხრივი შეთანხმებები მხოლოდ ფარატინა ქაღალდი იყოს, რომელსაც არავინ არ სცნობს. სხვათა შორის, ასეთი პრობლემა რუსეთს არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ აშშ-სთან და ევროკავშირთანაც აქვს. რუსეთს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი იმისათვის, რომ მსო-ს სრულუფლებიანი წევრი გახდეს. ჯერჯერობით კი რუსეთს ჩვენთან და სხვა პარტნიორებთან უამრავი ვალდებულება აქვს შესასრულებელი.

— ბევრს საუბრობენ, რომ საქართველოს უდიდესი ტურისტული პოტენციალი აქვს. კონკრეტულად რა ღონისძიებები იგეგმება ტურისტული ინდუსტრიის შესაქმნელად?

— საქართველოს უნიკალური ტურისტული პოტენციალი და რესურსები აქვს. დერეგულაცია ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი მონაპოვარია. სახელმწიფო ეკონომიკას ნაკლებად არეგულირებს და კერძო ბიზნესში ნაკლებად ერევა. ჩვენი ამოცანაა, რომ ბიუროკრატია პატარა და მსუბუქი იყოს, ბიზნესსექტორი — დიდი და მძიმე. მთავარი რეგულატორი და ხარისხის განმსაზღვრელი კი ბაზარია.

ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით ვმუშაობთ „მასტერ პლანზე", ანუ განვითარების გენერალურ გეგმაზე, რომლის გარეშეც არც ერთ ქვეყანაში ტურიზმი არ ვითარდება. ახალი ტურისტული მარშრუტების შექმნაზე და შემდგომში მათ პოპულარიზაციაზე მუშაობა უკვე დაწყებულია.

2007 წლის ბოლომდე დაგეგმილია 30 ახალი ტურისტული მარშრუტის შექმნა. აქცენტი თემატურ ტურებზე გაკეთდება. ისეთზე, როგორიცაა ღვინის, ეკო ტურები, სპა ტურები, ებრაული ტურები და ასე შემდეგ.

— თქვენს ინიციატივას, რომელიც საკურორტო ზონებში კერძო საკუთრების საკითხებს ეხება, სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია მოჰყვა. კონკრეტულად რასთან გვაქვს საქმე?

— ჩვენი ინიციატივა, სწორედ რომ, კურორტისა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარეობს. სახელმწიფო ცდილობს, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას შეუწყოს ხელი და ეს არ უნდა აღიქვან, როგორც სახელმწიფოს მხრიდან თვითრეგულირება.

ბაკურიანში პირადად შევხვდი მესაკუთრეებს. ყველა დეტალი მათთან ერთად გავიარე და ისინი ჩვენს ინიციატივას მიესალმნენ. ჩვენი საუკეთესო კურორტები ტურისტებისათვის გვინდა და, თუ საკურორტო ზონებში მხოლოდ კერძო ბინები ჩავდგით, მაშინ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ადგილი და შესაბამისი გარემო აღარ დარჩება.

— არსებობს რაიმე გათვლა, რომლის მიხედვითაც შეგიძლით თქვათ, წელს რა რაოდენობის ინვესტიციებს ველოდებით და კონკრეტულად, რომელ სფეროში?

— ჩვენი გათვლებით 2-მილიარდიან ინვესტიციას ველოდებით, რაც საკმაოდ დიდი ციფრია. თუმცა მისი გაზრდაც მოსალოდნელია. 2007 წელს მხოლოდ საბანკო სექტორიდან 700 მლნ. დოლარის ინვესტიციის შემოსვლაა ნავარაუდევი. ოპონენტების აზრი არ ვიცი, ზოგადად ენას ძვალი არ აქვს. ისინი ათას რამეს გვაბრალებენ. ამბობენ, რომ სამშობლოს მტრები, მკვლელები, ურწმუნოები, უჯიშოები ვართ და ასე შემდეგ. გვაგინებენ, გვლანძღავენ, — აი, რა არის მათი კრიტიკა. ჯერჯერობით ოპოზიციისაგან ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკა არ მსმენია. თუ საღად აზროვნებ, დაინახავ, რომ საქართველოს ძალიან დინამიურად და სტაბილურად განვითარებული ეკონომიკა აქვს.

— რა არის საქართველოს ეკონომიკის ძირითადი პრიორიტეტები, რომელმაც შედეგები უახლოეს პერიოდში უნდა მოგვცეს?

— საბანკო და საფინანსო სექტორი ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალია და აღებული დინამიკა აუცილებლად შენარჩუნდება. ეკონომიკის ყველა სექტორი მნიშვნელოვნად ვითარდება. ბოლო პერიოდში უამრავი ახალი საწარმო გაიხსნა. სერიოზული ინვესტიციები იდება სოფლის მეურნეობაში, ისევე, როგორც ტურიზმში.

— ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლის დროს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „ჩვენს ეკონომიკური განვითარების მინისტრს შაორის ტბის განვითარებასთან დაკავშირებით პირდაპირ აბოდებს". შაორთან დაკავშირებით რა გეგმები გაქვთ?

— მე საქართველოს ბევრ უსამაზეს კუთხეზე მაბოდებს. შაორი ერთ-ერთია მათ შორის, რომელიც უახლოეს ხანებში სუპერთანამედროვე კურორტად გადაიქცევა. მზადდება გეგმა, რომლის მიხედვითაც შაორის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე საკურორტო ინფრასტრუქტურა გაშენდება და ის მართლაც სუპერ „საბოდებელ" კურორტად გადაიქცევა. პროექტის პრეზენტაცია დაახლოებით ერთ თვეში გაიმართება.

— როგორ ტურებს უწოდებთ ებრაულ ტურებს?

— ებრაული ტურების ამუშავებაზე ინტენსიურად ვმუშაობთ. საქართველოში ებრაელი ერის ცხოვრებისა და ყოფის მეტად დიდი ტრადიციაა. ქართველებს და ებრაელებს 26-საუკუნოვანი მეგობრობა გვაკავშირებს. მსოფლიოში მილიონობით ებრაელი ცხოვრობს, რომლებიც საქართველოში ჩამოსვლას და ჩვენი ქვეყნის დათვალიერებას ისურვებდნენ. ქართველ ებრაელებსაც, რომელთაც საქართველოში აიდგეს ფეხი და ახლა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწეობენ, ამის დიდი სურვილი აქვთ.

წელს პირველად ტურისტული კადრების მომზადება დავიწყეთ. ტურისტული სკოლა სიღნაღში უკვე გავხსენით და ასეთი სკოლები მალე სხვა რაიონებსა თუ რეგიონებშიც გაიხსნება. რამდენიმე ახალგაზრდა კვალიფიკაციის ასამაღლებლად საზღვარგარეთ გავაგზავნეთ.

საქართველოში ტურიზმის რესურს საზღვარი არ აქვს. ვვარაუდობთ, რომ 4-5 წელიწადში ქვეყანამ მხოლოდ ტურიზმიდან რამდენიმე მილიონი დოლარის შემოსავალი უნდა მიიღოს.

— თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების შემდეგ სხვა აეროპორტების რეკონსტრუქცია ან მათი იჯარით გაცემაც ხომ არ იგეგმება?

— არც ერთ ქვეყანაში, სულ რაღაც 18 თვეში ისეთი დონის საერთაშორისო აეროპორტი არ აშენებულა, როგორიც თბილისსა და ბათუმში გაკეთდა. იმის სანახავად, სახელმწიფოსა და კერძო კომპანიას შორის დადებული კონტრაქტის მიხედვით თუ რა წარმატებული შედეგი მივიღეთ, ყაზახი სტუმრები ჩამოდიან. ყველა სკეპტიკოსის ჯინაზე, ვისაც გულზე ეკალივით ესობათ, რომ თბილისს ასეთი დონის აეროპორტი აქვს, მინდა ვთქვა, რომ ანალოგიური, საუკეთესო აეროპორტი ბათუმშიც გვექნება.

— რამდენად სამართლიანია სახელმწიფო იმ კერძო მესაკუთრეთა მიმართ, რომელთა ქონების გაფორმებისას შეცდომა ჩინოვნიკებმა დაუშვეს, მათ შეცდომებზე პასუხს კი მესაკუთრეები საკუთარი ქონებით აგებენ?

— ჩვენ გვაქვს კონკრეტული შეგეგები, როდესაც პირები პასუხისგებაში არიან მიცემულნი, რადგანაც საქმე თაღლითობასთან გვქონდა. ახლა ვიღებთ კანონს უძრავი ქონების დამატებითი გარანტიების შესახებ, სადაც მკაფიოდ გაიწერება ის, თუ ვისზე რა გარანტიები ვრცელდება.

— როგორ გეგმავთ ინვესტორის უფლებების გარანტირებულ დაცვას და იმის უზრუნველყოფას, რომ ინვესტორთან ურთიერთობა ჩინოვნიკის ნება-სურვილსა თუ სიმპათიაზე არ იყოს დამოკიდებული?

— საქართველოში ინვესტორი დაცული რომ არის, უცხოელი ინვესტორები სწორედ ამიტომ ჩამოდიან და ინტერესდებიან საქმეში ფულის ჩადებით. ვიდრე ინვესტორები ამა თუ იმ ქვეყანაში საკუთარი კაპიტალის დაბანდებას გადაწყვეტენ, ჯერ ძალიან სკეპტიკურად აფასებენ რისკებს. ჩვენთან მარეგულირებელი ფუნქცია მინიმუმამდეა დაყვანილი და მათ აღარც ქურდები აწუხებენ და არც კორუმპირებული ჩინოვნიკები. ჩვენთვის პრიორიტეტი ის არის, რომ საქართველოში ბიზნესის საკეთებლად და ბევრი დოვლათის დასაგროვებლად ბევრი ფული შემოვიტანოთ.

ესაუბრა
მაია არაბიძე

◎ ინფორმაცია

პორტუგალიაში, ნატოს საპარლამენტო სესიაზე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიაზე მოხსენებით გამოვა.

ნინო ბურჯანაძე პორტუგალიაში, სადაც სესია გაიმართება, გუშინ გაემგზავრა.

იგი, ასევე, ოფიციალურ შეხვედრებს გამართავს პორტუგალიის პარლამენტის თავმჯდომარესთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან, ევროპულ საქმეთა სახელმწიფო მდივანთან და სხვა ოფიციალურ პირებთან.

რაც შეეხება ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიას, მისი გახსნის დღეს მოხსენებით გამოვლენ ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ხოსელელო და ნატო-ს გენერალური მდივანი სხეფერი.

ვინაა პოლიტიკური ბანკროტი?

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის გიგა ბოკერიას აზრით, ოპოზიცია ფერიას მთაზე ეკლესიის დანგრევის ფაქტის გამოყენებას ცდილობს. მანვე ოპოზიციის წარმომადგენლებს პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე პოლიტიკურად გაკოტრებულები უწოდა. ბოკერიას თქმით, „ოპოზიციას იმედი ჰქონდა, რომ სახელმწიფო და საპატრიარქო ვერ შეთანხმდებოდნენ". „კიდევ ბევრი იმედი გაგიცრუვდებათ" - განაცხადა ბოკერიამ და განსაკუთრებული უარყოფითი პოზიცია დეპუტატ გოჩა ჯოჯუას გამოსვლისადმი დააფიქსირა.

ბოკერიამ მიმართა დეპუტატებს, ფეხზე ამდგარიყვნენ ისინი, ვისაც გოჩა ჯოჯუასი სჯეროდა. თავად გოჩა ჯოჯუას კი იმ სიმართლით სიარული ურჩია, რა გულწრფელობითაც ის საუბრობდა.

საიდუმლო შეხვედრა

თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელს დიმიტრი სანაკოევს შეხვდა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" სანდო წყარომ აცნობა.

შეხვედრა 21 მაისს სოფელ ქურთაში, სანაკოევის რეზიდენციაში შედგა. უცნობია, რაზე ისაუბრეს ოქრუაშვილმა და სანაკოევმა, თუმცა, წყაროს მტკიცებით, შეხვედრა ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა.

ინტერპრესნიუსი

● აფხაზეთი უძველესი დროიდანვე ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა; იგი აკურთხეს და მონათლეს პირველ საუკუნეში წმ. ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა; მუდამ დასახლებული იყო ქართული (მესხური, მეგრულ-ჭანური და სვანური) ტომებით



ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ ისტორია

„აფხაზეთი“, ვინ დაგანათლა ეს სახელი?

კლანო კარპინი, რომელმაც რომის პაპის დავალებით იმოგზაურა რუსეთში, შუა აზიასა და მონგოლეთში, აღწერს იმ ხალხებს, რომლებიც მონგოლ-თათრებმა დაიპყრეს; ჩამონათვალში დასახელებული არიან: ჩინელები, მაიმანები, სოლაგები, ყარაჩინელები; აგრეთვე: კომანა, თუმატ, ვორირატ, კანარიტ, გუიურ, სუმონღოლის, მერკიტ... და ალანები, ანუ ასსები (ოსები), ობეზები, ანუ გეორგები (ქართველები), ნესტორიანელები, არმენიელები და ა. შ.“..

იოანე პეტრიწი – ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი (მე-11-12 სს.) – ნეოპლატონიკოსი, ბიზანტიელებისაგან იწოდებოდა, როგორც „გრამმატიკ აბაზგი“. თვითონ იოანე არაორაზროვნად ამბობს, რომ ის ქართველია, რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს ქართველისა და აფხაზეთის იდენტურ გაგებაზე.



აფხაზეთში ქართული ენის არსებობას ზოგიერთი მეცნიერი ამ ენის ადმინისტრაციულ-საკანცელარიო დანიშნულებით ხსნის, რაც ძალზე სუსტ არგუმენტად გამოიყურება. ნატურალურ-პატრიარქალური მეურნეობის მქონე ქვეყანაში რა დახვეწილი და ბიუროკრატიული აპარატი ან საგანმანათლებლო სისტემა იარსებებდა, მას რომ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოეხდინა ფართო სპექტრის მქონე მოსახლეობის – მეგრელ-ჭანების, სვანების, აფსუა-აფსარებისა და ჩერქეზების მეტყველებაზე?

მკითხველს, ალბათ, გაუჩნდება იმის კითხვა თუ როგორ გაჩნდა აფხაზეთში ქართული ენა პირველი (ან, გნებავთ, მეორე) სალაპარაკო ენა მეგრულთან ერთად.. თუ გავიხსენებთ, რომ სწავლული მოგზაურები უძველესი დროიდანვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ასახელებდნენ სანიგებს (ჭანების), აბაზგებსა და აფსილებს, ჰენიოხებს (ესენიც მეგრულ-ჭანურ ტომებად ითვლებიან), მისიმიანელებს (სვანების), – გამოდის, რომ ქართების ენაზე მეტყველ არც ერთ ტომს აფხაზეთის ტერიტორიაზე არ უცხოვრია. ასეთ შემთხვევაში კი ძნელად დასაჯერებელია იმერეთ-რაჭა-გურიიდან აფხაზეთამდე გამოელწია ქართულ ენას, თუ აქ, აფხაზეთში ქართული ენის მატარებელი ეთნოსი არ იქნებოდა; ხოლო – კულტურულ-ადმინისტრაციული (თუნდაც ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი) ფაქტორი იმდროინდელი სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციისა და სუსტი კომუნიკაციის პირობებში აფხაზეთის რეგიონში ქართულ ენას სალაპარაკო ფუნქციას ვერ შეაძლებინებდა...

ვუბრუნდებით „აბაზგებისა“ და „აბსილების“ საკითხს. ერთი დეტალი პროფ. ა. თოთაძის წიგნიდან: „აფხაზეთის მოსახლეობა, ისტორია, თანამედროვეობა“: „აფსილებისა“ და „აბაზგების“ საცხოვრისი პლინიუს სეკუნდისა და პლავიუს არიანეს ეპოქაში... ზღვისპირა მცირე ზოლს მოიცავდა მდინარე ღალიძგას შესართავიდან სოხუმამდე... აქ მეტად საგულისხმოა შემდეგი ფაქტი, რომელსაც მეცნიერები ყურადღების გარეშე ტოვებენ. აღნიშნული ზოლი 1000 კვ. კმ-საც არ უდრიდა (ეს ფართობი აჭარის 1/3-ია. – ბ. ჭ.). მის გარშემო მთლიანად ქართველი ტომები ცხოვრობდნენ. ამიტომ ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია ეს ზოლი, უცხო თუ არაქართველური ეთნიკური ტომებით ყოფილიყო დასახლებული. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რაც საყოველთაოდ ცნობილია: იმ პერიოდში მოსახლეობის გამრავლების ტემპი უაღრესად დაბალი იყო და ამდენად არ შეიძლებოდა „აფსილებსა“ და „აბაზგებს“ ამ ისედაც მცირე ტერიტორიაზე საგრძნობი რაოდენობით ეცხოვრათ, ხოლო შემდეგ ამ ტომებს აფხაზეთის სამეფოსათვის დაედო სათავე... ამდენად მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთ საქართველო უძველესი დროიდან ქართული სამყაროა და იქ მცხოვრები ტომები, მათ შორის „აფსილები“ და „აბაზგები“ ქართველური მოდგმის ტომებია“.

აქ, აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდანვე (წერილობითი წყაროებით ძვ. წ. VI საუკუნიდან), ბინადრობდა ქართული ტომი მესხები, რომლებმაც ამავე რეგიონს მიანიჭეს მათივე ეთნიკური სახელწოდება აბასხეთი, ანუ აფხაზეთი. პ. ინგოროყვა აღნიშნავდა, რომ აბასხების გარშემო მცხოვრები მეგრულ-ჭანური მოსახლეობის ზემოქმედებით ხდებოდა მათი კოლხიზაცია, ე.ი. მესხურის ნაცვლად მეგრულის გავრცელება; თუ როდის დამთავრდა ეს პროცესი მესხური ეთნიკური ელემენტების (აფსარები) ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლებამდე თუ შემდეგ – ჯერ დაუდგენელია. სავსებით შესაძლებელია, რომ „სამი პლასტის“ (ლ. ტუხაშვილი) ურთიერთენობრივი დამოკიდებულებანი პერმამენტულ და ხანგრძლივ ხასიათს ატარებდა.

აფხაზეთი უძველესი დროიდანვე ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა; იგი აკურთხეს და მონათლეს პირველ საუკუნეში წმ. ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა; მუდამ დასახლებული იყო ქართული (მესხური, მეგრულ-ჭანური და სვანური) ტომებით. პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა (კოლხეთი, ეგრისი, აფხაზეთის სამეფო) ქართულ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. სამართლიანობის პირობებში არავის არ აქვს უფლება საქართველოს წაგლიჯოს ეს ტერიტორია და დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩამოაყალიბოს, მიუხედავად იმისა, ისინი „უცხო“ თუ „გაუცხოებულ“ ხალხს წარმოადგენენ!

ბიძინა ჭყონია,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 94-96.

◎ ინფორმაცია

თავისუფლების ფასია 20 ათასი დოლარი

გალის რაიონის სოფელ პირველი გალიდან 21 მაისს, გვიან ღამით ორი ადამიანი გაიტაცეს. მათ შორის ერთი 9 წლის ბავშვია. გალის რაიონში აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენელმა თორნიკე კილანავამ განაცხადა, რომ შვიდი ნიღბიანი პირი ნუგზარ არქანიას ოჯახს გვიან ღამით დაესხა თავს.

ამასთან, გავრცელდა ინფორმაცია, რომ გუშინ დილით, 8 ათასი დოლარის გადახდის შემდეგ გამტაცებლებმა ბავშვი გაათავისუფლეს. თანხა რუსეთის ერთ-ერთ ბანკში გადაირიცხა. კვლავ ტყვეობაში რჩება ნუგზარ არქანია. მისი გათავისუფლების სანაცვლოდ 20 ათას დოლარს ითხოვენ.

ოჯახის წევრებმა ერთ-ერთი გამტაცებელი ამოიცნეს. მათი მტკიცებით, ის გალის აფხაზური მილიციის თანამშრომელია.

ინტერპრესნიუსი

ნაღმი სკოლაში

22 მაისს, კონფლიქტის ზონაში სოფელ თამარაშენში 13:00 საათზე ნაღმი აღმოაჩინეს. სკოლიდან მოსწავლეთა და მასწავლებელთა ევაკუაცია დროულად მოხერხდა. შემთხვევის ადგილზე შერეული სამშვიდობო ძალების ეუთოს წარმომადგენეთა ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფიც ჩავა.

ХИ-ЭИВ-ЭНИ

◎ განცხადება

თავიდანვე განვსაზღვროთ ჩვენი კავკასიური ორიენტირი

წლეულს 140 წელი სრულდება, საქართველოს ისტორიაში მუჰაჯირობის სახელით ცნობილი, რუსეთის იმპერიის მიერ კაცობრიობის, კერძოდ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთში) მცხოვრები მოსახლეობის წინააღმდეგ უმძიმესი დანაშაულის ჩადენიდან, რის შეხსენებას მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის პრევენციას, თავის ვალდებულებად მიიჩნევს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აცხადებს:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მიესალმება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას თემაზე „პონტო-კავკასიის გეოცივილიზაციის ცნობიერი აღორძინებისათვის“, რომელიც ეძღვნება რუსეთის მიერ მე-19 საუკუნეში პროვოცირებული კავკასიური ომის და მუჰაჯირობის სახელით ცნობილი ამ ომის უაღრესად ტრაგიკულ შედეგებს.

ამ საკითხის აქტუალობა გამოწვეულია იმ გასაოცარი მყარი მემკვიდრეობით, რომელსაც ითავსებს შინაარსობრივ სივრცეში ცარისტული, ბოლშევიკური და პოსტკომუნისტური რუსეთის კავკასიური პოლიტიკა, კავკასიაში ამ ეტაპზე მიმდინარე მოვლენები, რაც ცალსახად იძლევა იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ იგი კიდევ დიდი ხნის განმავლობაში არ შეიცვლება და მოსალოდნელია უფრო მეტი აგრესიულობაც კი შეიძინოს. ამგვარი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს რუსეთის პოლიტიკური, სამხედრო ელიტის მიერ დეკლარირებული და საზოგადოებრივ აზრში ჩაკირული აგრესიული დამოკიდებულება ზოგადად კავკასიურ საკითხებთან, რომლის შეცვლის სურვილის არანაირი მცდელობა არ შეინიშნება რუსეთის ხელისუფლების მხრიდან.

აქედან გამომდინარე, ჩვენი ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ის ისტორიული პროცესები, მოვლენები თუ კონკრეტული ფაქტები, რაც მოხდა სრულიად კავკასიაში და რომელმაც გადამწყვეტი თუ არა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ მეტად რთული და საინტერესო რეგიონში, თანადროულია ასევე შემდგომ ცხოვრებაში. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა გახდეს კავკასიაში ამჟამად მიმდინარე პროცესები, უნდა გავაფართოვოთ და გავაძლიეროთ შიდა კავკასიური საურთიერთო არეალი, რომელიც მავანთა ხელშეწყობით იმდენად შეზღუდულია, რომ აშკარად შეინიშნება ურთიერთგაუცხოება.

ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ის არის, რომ თავადვე განვსაზღვროთ საკუთარი კავკასიური ორიენტირი და მოვუწოდებთ რუსეთის იმპერიის ტყვეობაში მყოფ მოძმე კავკასიელ ხალხს, აქტიურად ჩაერთონ ერთიანი კავკასიური სამყოფელის შექმნისა და აღორძინების პროცესში. ამასთანავე, მივმართავთ აგრესიული სეპარატიზმის მიერ მოტყუებულ აფხაზეთის მოსახლეობას, ნუ გაიპიროვნებენ იმპერიის მეგზურის მოვალეობას და ერთიანი ძალისხმევით ვიღვაწოთ ჩვენი ქვეყნის აღორძინებისათვის.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო,
ქ. თბილისი

მაქუსი

● ამჟამად, მთელი ბიუჯეტი შედგება მხოლოდ თანამშრომელთა ხელფასისგან. ფაქტობრივად, ტყის დაცვის, აღდგენისა და ტყის რესურსების გამოყენების ორგანიზაციის არც ერთი პროგრამა არ არის მოქმედებაში

◎ რეფორმა: ილუზია და რეალობა

2. ასე უბოდიშოდ უსარგებლო რამ ნივთსაც არ მოექცეოდნენ!

ქართულ ტყეს უკვე სხვები შეუნახავენ შვილებს

სხვადასხვა საკუთრების არასახაზინო ტყეების ფართობები ქვეყნის ყველა მაზრაში ან რაიონში აღირიცხებოდა, გარდა სიღნაღის, პირუკუალაზნის, ქობლიანის და აჭარის, სადაც ტყეების 100% სახაზინო მფლობელობაში იყო. ბორჯომის ტყეები მხოლოდ სააგარაკო და სასწავლო მიზნებს ემსახურებოდა.

იმ პერიოდში საქართველოში ორგანიზებული იყო და ფუნქციონირებდა 38 სამაზრო და სატყეო ფორმის მეურნეობა, აქედან კერძო ტყისმფლობელები გაადგილებული იყო მხოლოდ 9-ში, რომელთა სატყეო ფართობები მერყეობდა 5-დან 17 000 ჰა-მდე, მათი საერთო რიცხვი შეადგენდა 102-ს.

1864-1871 წლების რეფორმა მემამულეთა ინტერესების მაქსიმალურად დაცვით გატარდა, რის შედეგად გლეხებს არამცთუ ტყის, არამედ ვენახის შესყიდვაც კი უჭირდათ. ისინი ძირითადად სასოფლო და სახაზინო ტყეებით სარგებლობდნენ და გაჭირვებით შესყიდულ მიწას ტყის გაშენებისთვის ვერ იმეტებდნენ, თუმცა, მაღალპროდუქტიული ტყის ფართობების შეძენის მიმართ თვით გლეხობაც კი გულგრილი არ იყო, რაც თვალნათლივ ჩანს ე.წ. აჯამეთის ტყის მაგალითზე, რომლის შესახებ მეტად საინტერესო აღწერა აქვს გაკეთებული ბატონ ა. თელიას (1993 წ.).

1921 წლიდან მოხდა საქართველოს ტყეების სრული ნაციონალიზაცია და დღევანდელი მდგომარეობით მათი მფლობელი და განმკარგავი მხოლოდ სახელმწიფოა. **თუმცა, ქვეყნის მთელ რიგ მაღალმთიან რაიონში ჯერ კიდევ შემორჩენილია ტყეზე ოჯახური ან საგვარეულო დე-ფაქტო საკუთრება, რომელთა დარწმუნება უკანონობაში თითქმის შეუძლებელია და ამ ფართობების გასხვისება საკმაოდ მწვავე კონფლიქტებს გამოიწვევს. მთლიანობაში, ძალზე სავარაუდოა, რომ სოფლის მოსახლეობა მე-19 საუკუნის საგლეხო რეფორმების მსგავსად კვლავ ტყის ფართობების გარეშე დარჩეს, რაც მათი სასიცოცხლო პრობლემებისათვის შეიძლება ტრაგიკული აღმოჩნდეს.**

2004 წლის მონაცემებით, საქართველოს მთელი ტერიტორიის თითქმის 40%, ანუ 2.76 მლნ ჰა, ტყითაა დაფარული, აქედან ამჟამად ქვეყნის ხელისუფლების იურისდიქციაშია 2.25 მლნ ჰა, რომელთა მერქნული მარაგია 336.1 მლნ მ³. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში გაადგილებულია 418.9 ათასი ჰა, ანუ 15.2%, მარაგებით 87.12 მლნ მ³. აღნიშნული 2.25 მლნ ჰა ტყით დაფარული ფართობიდან 0.15 მლნ ჰა დაცული ტერიტორიებია და მათ საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების დეპარტამენტი მართავს; 0.04 მლნ ჰ ა ვ. გულისაშვილის სახ. თბილისის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის მმართველობაშია, 0,433 მლნ ჰა კლასიფიცირებულია, როგორც ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები, ხოლო 1,62 მლნ ჰა მთლიანად ტყით დაფარულ ფართობზე (72%), რომლის მერქნული მარაგია 268,5 მლნ მ³. მმართველობას ახორციელებს საქართველოს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი **(რასაკვირველია, მონაცემები მოძველებულია ტყის აღრიცხვიანობის სამუშაოების თითქმის სრული შეჩერების გამო).**

ცენტრალიზებული დაგეგმარების პერიოდში სატყეო სექტორის ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში შეადგენდა 4-5%-ს, რომლის ძირითადი წყარო იყო: მერქნული ნედლეული-14%, ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია-69% და ცელულოზა-ქაღალდის პროდუქცია — 17%.

სატყეო სექტორის ამჟამინდელი წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში დაბალია დამოუკიდებლობის მოპოვებამდე პერიოდთან შედარებით. **მნიშვნელოვნად შეიცვალა მისი ფორმირების სტრუქტურაც, სადაც წამყვანი ადგილი (90-95%) დაიკავა მერქნულმა და მისი პირველადი გადამუშავების პროდუქციამ, რამაც ქვეყანა არასასურველი ტყის რესურსების სანედლეულო ბაზად გადააქცია.** სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ ცენტრალიზებულ-დაგეგმვითი სისტემის მიდგომები სათანადო ფინანსური მხარდაჭერით მეტად დროული და სასარგებლო აღმოჩნდა საქართველოს ტყეებისა და, მთლიანობაში, სატყეო სექტორისთვის. კერძოდ, რეკორდულ მაჩვენებლებს მიაღწია ტყეების აღდგენისა და მავნებელ-ავადმყოფობისაგან დაცვის ღონისძიებებმა; ყოველ 10 წელიწადში ერთხელ სისტემატურად და ხარისხიანად ტარდებოდა ტყეთმოწყობის სამუშაოები; გაიშალა და გაფართოვდა სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობა; ვ. გულისაშვილის სახ. სამთო სატყეო ინსტიტუტში და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე სრული დატვირთვით ფუნქციონირებდა ტყეთმოწყობის, სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტები — სატყეო გზებისა და სატყეო სამეურნეო დაპროექტების ინსტიტუტები, რომლებიც რეფორმების პირველივე ეტაპს აბსოლუტურად დაუმსახურებლად შეეწირნენ; გაყვანილ იქნა ასობით კილომეტრი სატყეო-სამეურნეო და ხეტყის საზიდი გზა და ა.შ. 1990 წლისთვის ქვეყნის სატყეო მეურნეობის დარგმა საკასო ხარჯების სახით 29.16 მლნ მანეთი მიიღო, საიდანაც 2.95 მლნ მანეთი კაპიტალდაბანდება იყო (ამის შემდეგ დარგს არც ერთი ლარი არ მიუღია), 9.3 მლნ მანეთი გამოეყო ტყის აღდგენით სამუშაოებს, რომელიც 2002 წლიდან ფაქტობრივად შეწყდა, 3.01 მლნ მანეთი სატყეო-სამეურნეო სამუშაოებზე დაიხარჯა, რაც ასევე მთლიანადაა შეწყვეტილი. **ამჟამად, მთელი ბიუჯეტი შედგება მხოლოდ თანამშრომელთა ხელფასისგან. ფაქტობრივად, ტყის დაცვის, აღდგენისა და ტყის რესურსების გამოყენების ორგანიზაციის არც ერთი პროგრამა არ არის მოქმედებაში.**

<u>რეფორმების შინაარსობრივ-ფინანსური ასპექტები.</u> ნათელია, რომ 1992 წლიდან დაწყებულმა მრავალწლიანმა რეფორმებმა დადებითი შედეგები ვერ გამოიღო. თუმცა, თუ მსოფლიო ბანკის სატყეო სექტორის ექსპერტთა შეფასებებს დავეყრდნობით, პოსტსაბჭოთა და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში ჩატარებული ანალოგიური რეფორმები, რომლებზეც მილიარდ აშშ დოლარზე მეტია გამოყოფილი და დახარჯულია, მთლიანობაში არადამაიმედებელია და ხშირად არაორდინარული და არატრადიციული ქმედებების განხორციელებაც გახდა საჭირო. **მოკლედ რომ ვთქვათ, ერთ ქვეყანაში აპრობირებული ანალოგის მეორეში მექანიკური გადმოტანა დადებით შედეგებს არ იძლევა, ისე როგორც ვერც ერთი მეცნიერი ვერ ასაბუთებს კერძო ტყეების უპირატესობას სახელმწიფოსთან შედარებით და, პირიქით. საჭიროა ბუნებრივი, ისტორიული, ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა ფაქტორების მაქსიმალური გათვალისწინება და ამის შედეგადაც მეცნიერულად დასაბუთებული, ამა თუ იმ რეგიონისთვის სასურველი გადაწყვეტილებების მიღება.**

ამ მიმართულებით ქვეყნის გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჭიროა ჰქონდეს არა „პოზიცია“, არამედ ტყეების სახელმწიფოებრივი მართვის უმაღლესი რგოლის პოლიტიკა ან სტრატეგია, ან ტაქტიკა, თუნდაც სამოქმედო გეგმის, პროექტის, პერსპექტიული მიმართულებების სახით. ეს მით უმეტეს, საჭიროა დღეს, რადგან ტყეების მართვისა და რესურსებით სარგებლობის რეფორმა დაიყვანება ტყეების კლასიფიკაციის არსებული სისტემის „გადასინჯვაზე“, ხოლო სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის საშუალებად შემოთავაზებულია „ტყეების გრძელვადიანი იჯარით გაცემა“.

ერთიანი სატყეო პოლიტიკის უღიარებლობის პირობებში მისი ცალკეული ფრაგმენტების ამოქმედება და მასზე პოზიციების ძიება არაფრისმომცემია და რიგ შემთხვევაში, ტყის რესურსების რაციონალური მოხმარებისათვის სახიფათოც არის.

უდავოა, რომ საქართველოში განხორციელდა სატყეო მეურნეობის საბაზრო პირობებში მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი: გაიმიჯნა ადმინისტრირება და კომერციული საქმიანობა, მაგრამ რატომ არ ვითვალისწინებთ იმას, რომ ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ევროპაში და, საერთოდ, მსოფლიოში სატყეო მეურნეობისა და პრაქტიკის კანონმდებელმა ქვეყანამ გერმანიამ, **ტყეების თითქმის 40 პროცენტში შეინარჩუნა სახელმწიფო საკუთრება,** რომელსაც კომპლექსური ფუნქციის მქონე სახელმწიფოს დაქვემდებარებული სატყეო მეურნეობები უძღვებიან, რომელთა საქმიანობას მკაცრი კონტროლისა და რეგულირების მექანიზმი აქვს დაწესებული. იგი მოიპოვებს ყოველგვარ ტყის რესურსს და ყიდის, იცავს და აღადგენს ტყეს, რაც განვითარებად ქვეყნებში ტყეზე სახელმწიფო მონოპოლიის პირობებში დადებით შედეგს იძლევა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ისეთი სატყეო პოლიტიკის შექმნა და ამოქმედება, რომელიც უზრუნველყოფს: ტყეების სახელმწიფო მართვისა და ადგილებზე ტყის მართვის ფუნქციების გაყოფა-გამიჯვნას და სათანადო სამართლებლივ ბაზაზე ტყეების ერთობლივი მართვის მექანიზმის დამუშავებას და არა არსებული სისტემის სრულ ნგრევას,** და ამის შედეგად არა უკეთესი, არამედ დაუსაბუთებელი „მოდელის“ განხორციელებას, თუ იგი სისტემური მიდგომის თვალსაზრისით ბუნებაში არსებობს. ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებისათვის ასეთი მოდელის არსებობა უცნობია. ამიტომ, საქართველოს სატყეო მეურნეობის მართვის სფეროში იქმნება პარადოქსული მდგომარეობა:

● ერთი მხრივ — **ტყეების კონსერვაციის მასშტაბების და პირობების გაფართოებასთან ერთად, რომელიც ყველა შემთხვევაში ზღუდავს მერქნით კომერციულ საქმიანობას, ვახორციელებთ მათში სამრეწველო ხეტყის დამზადების პოლიტიკას, რომლის მთავარი და წამყვანი ფორმებია: ტყის მასივების ხანგრძლივვადიანი არენდა** (და არა იჯარა. რეკომენდაციას ვაძლევთ, გაეცნოთ პროფესორების ვ. პაპავასა და გ. პაპავას სპეციალურ ნაშრომს, საიდანაც ნათლად ჩანს იჯარასა და არენდას შორის მკვეთრი ეკონომიკური შინაარსის სხვაობა) **და პრივატიზაცია.**

თეიმურაზ კანდელაკი,
საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის მეტყევეობის, ლანდშაფტური დაგეგმარებისა და სატყეო მენეჯმენტის დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს მეტყევეთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს დამსახურებული მეტყევე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 96.

◎ ინფორმაცია

სტუმრად მეფე გვეწვევა

ივნისის შუა რიცხვებში საქართველოს ოფიციალური ვიზიტით იორდანიის მეფე აბდალა მეორე ეწვევა. ამის შესახებ განცხადება საქართველო პრეზიდენტის პრეს-სამსახურმა მიხეილ სააკაშვილის იორდანიაში ორდღიანი ვიზიტის შემდეგ გააკეთა. მოლაპარაკებათა შედეგად საქართველოს პრეზიდენტმა და იორდანიის მონარქმა ჩარჩო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ეს ხელშეკრულება ორმხრივი თანამშრომლობის ძირითადი დოკუმენტი გახდება.

თურქი სამხედროების ვიზიტი

საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით მყოფმა თურქეთის შეიარაღებული ძალების დელეგაცია თბილისი გუშინ დატოვა. თორმეტკაციან დელეგაციამ თურქეთის გაერთიანებული შტაბის, სამხედრო ისტორიისა და სტრატეგიულ საკითხთა სამსახურის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ეიუფ ქაფთანი ხელმძღვანელობდა. ვიზიტი გაცნობით ხასიათს ატარებდა და ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობების გაღრმავებას ითვალისწინებდა.

ХП-ЕПВ-ЕПП

ქართულ საკომუნიკაციო ბაზარზე, შესაძლოა, იორდანიელი კომპანია შემოვიდეს

ადგილობრივი ფართოზოლოვანი უსადენო დაშვების ქსელებითა და საშუალებებით სარგებლობისთვის ლიცენზიაზე აუქციონი გამოცხადდა.

კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში აცხადებენ, რომ ლიცენზიის საწყისი ფასი მილიონ 357 ათასი ლარით განისაზღვრა.

აღნიშნული ტიპის სიხშირის გამოყენება როგორც სატელეფონო, ასევე ინტერნეტითა და სატელევიზიო სიგნალით გადაცემისთვის არის შესაძლებელი. აუქციონის პირობების მიხედვით, ლიცენზიის მიღებიდან სამი წლის განმავლობაში კონკურსში გამარჯვებულმა კომპანიამ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში, მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე არანაკლებ ერთი გადამცემით მომსახურება უნდა განახორციელოს. აუქციონი 22 ივნისს გაიმართება.

ИНТЕРПРЕСНЮС

● სად, როდის, რომელ სახელმწიფოში მომხდარა ოდესმე დედამიწაზე, რომ როცა ქვეყანა სულს ღაფავს, მის მოსახლეობას ცეკვა-თამაში და გართობა დაეწყოს.

საქართველოში კი ეს ხდება!

◎ ხმა ერის გასაგონად!

მთელმა პლანეტამ იცის, რომ საქართველოს დღეს ეომება რუსეთი დეზინფორმაციით, ეკონომიკური ბლოკადით, აგენტურით, დივერსიებით, სამხედრო ოპერაციებით,.. აფხაზები, დაშნაკი სომხები და ოსები მოსკოვმა წააქეზა, გააბრიყვა და ჩვენ აგვიმხედრა, საქართველო ისევ კრემლის უღლის ქვეშ რომ მოექცეს. ეგრეთ წოდებული ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები რუსული შოვინისტური დუმის და მთავრობის შეთითხნილია, კრემლის ბრძანებით გენოციდი მოგვიწყვეს... და ჩვენში თითქოსდა ყოველივე ეს გადაავიწყდათ...

რასან ზარბაზნების გრუხუნი არ გვესმის...

და მაინც, მიუხედავად იმ დიდი უბედურებისა, რაც მოხდა 1956 წლის 9 მარტიდან დაწყებული და მოსკოვის ხელით დღემდე სხვადასხვა საშუალებით გრძელდება, მე საქართველოს უპირველეს მტრად შოვინისტურ რუსეთს არ მივიჩნევ (აქ ლაპარაკია იმ ტრაგედიებზე, რასაც მოვესწარით, პეტერბურგის ვერაგული პოლიტიკა, ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში რომ აწარმოებდნენ რუსიფიკატორები ჩვენ მიმართ, საგანგებო მსჯელობის საგანია). ბევრს შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს ეს სიტყვები, მაგრამ თუ გულდამშვიდებით ვიმსჯელებთ, გასაკვირი არაფერია.

სად, როდის, რომელ სახელმწიფოში მომხდარა ოდესმე დედამიწაზე, რომ როცა ქვეყანა სულს ღაფავს, მის მოსახლეობას ცეკვა-თამაში და გართობა დაეწყოს.

საქართველოში კი ეს ხდება!

დღეს! ამჟამად! ახლა! ჩვენი ყოფნა-არყოფნის დროს!

მაშინ, როცა ქუჩები მშობლების მიერ საზრდოს საშოვნელად ოჯახებიდან გამოყრილი მცირეწლოვანი ბავშვებითაა სავსე;

მაშინ, როცა საროსკიპოები 13-14 წლის გოგონებითაა სავსე;

მაშინ, როცა ციხეები პატიმრებითაა სავსე;

მაშინ, როცა უცხოეთში ლუკმა-პურისთვის ერთ მილიონამდე ქართველია გადახვეწილი;

მაშინ, როცა მოხუცებულები საზრდოს სანაგვე ურნებში დაეძებენ;

მაშინ, როცა ბანდიტობა ჩვეულებრივ ამბად იქცა, უფრო მეტიც — თავმოსაწონებელი გახდა;

მაშინ, როცა ქვეყანა ყველა ასაკის ნარკომანით აივსო (საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში დამლაგებლები შპრიცების ახვეტას ვერ აუდიან);

მაშინ, როცა უიმედობისაგან გონებადაბინდული დედები ჩვილებს ყიდიან ან ბუნკერებში ყრიან;

მაშინ, როცა გულგრილობა (ერის სულიერად დაცემის უპირველესი ნიშანი) მთელ ქვეყანას სენივით მოედო;

მაშინ, როცა საკუთარი მამულიდან ნახირივით გამორეკილი 300 ათასი სულში ჩაფურთხებული დევნილი მათხოვარივით აღმა-დაღმა დაეხეტება;

მაშინ, როცა დოქტორსა და პროფესორს მეზობელი პარიკმახერი თუ მეწაღე საამოწყალოდ პურის ფულს ჩუქნის;

მაშინ, როცა მიცვალებულის კუბოს ქვეშ ახალგაზრდები კევს ღეჭავენ;

მაშინ, როცა აფხაზეთი და სამაჩაბლო წაგვართვეს;

მაშინ, როცა მკვლელობა ჩვენში აღარავის უკვირს;

მაშინ, როცა არასრულწლოვანი ბავშვები ერთმანეთს ხოცავენ...

აი, ასეთ დროს, დამარცხებულ-გაპარტახებულ, დამცირებულ ქვეყანაში საქართველოს ტელევიზია ყოველდღიურად, სისტემატურად გახრწნილ სერიალებსა და გულის ამრევ გასართობებს გადმოსცემს!

რა შეიძლება ეწოდოს ამას?

მე შესაფერ სიტყვებს ვერ ვპოულობ.

ხშირად ვფიქრობ: ნუთუ ამ გადაცემების ავტორებს თუ ინიციატორებს არც დედა ჰყავთ, არც მამა, არც ძმა, არც და, არც შვილები...

თავს ვირჩენთო, ამიხსნა ერთმა იქაურმა ნაცნობმა თანამშრომელმა, როცა მათ ამაზრზენ გადაცემებზე ჩამოვუგდე სიტყვა, აი, ასე უტიფრად იმართლა თავი მან, სინდისის უქენჯნელად.

მაშინ, თუ ასეა, ისიც თავს ირჩენს, ვინც ნარკოტიკებს ასაღებს! მუცლიდან ხომ არ დაჰყოლია ასეთ ადამიანს საწამლავის გაყიდვა, და გაცილებით ნაკლებ ბოროტებას სჩადის იმასთან შედარებით, ვინც ყოველდღიურად გაუბედურებულ ქვეყანაში ბინძურ სერიალებსა და გასართობებს გადასცემს.

რატომ?

ნარკოტიკების გამსაღებელს გათვითცნობიერებული, შეგნებული აქვს, რომ დიდ დანაშაულს სჩადის და ამ საშინელი საქმის მოწყობას მალულად ცდილობს და ახერხებს, იმ ვითომდა ფილმებს კი, რომელთა წაბაძვით სკოლის ასაკის ბავშვები მკვლელობას და ათასგვარ სიმახინჯეს სწავლობენ, გადაცემების ორგანიზატორები თავმოწონებით აწვდიან მოსახლეობას!

ვინ უფრო მეტ სასჯელს იმსახურებს?

ის, ვინც ნარკოტიკებს ფარულად ასაღებს, თუ ის, ვინც ზნედაცემული გადაცემებით ყოველდღე უტიფრად, შეუნიღბავად, დაუპატიჟებლად შედის ოჯახში?

ნარკოტიკების გამსაღებლებთან შედარებით მილიარდჯერ უფრო მეტი ბოროტება მოაქვს ქვეყნისთვის ცხრაასსერიიან „ფილმებსა“ თუ სატინგიცო გადაცემებს.

რას ქადაგებენ ეს „ნაწარმოებები“?

პირუტყვულ ინსტინქტებს:

ფულის შოვნისთვის ყველაფერი დასაშვებია, გამართლებულია; გარყვნილობა, სადიზმი და მკვლელობა ბუნებრივი მოვლენებია და ასე შემდეგ...

აი, მთელი იმ „ფილმების“ შინაარსი.

მიუხედავად ამისა, და, ესაა სწორედ გამაოგნებელი, რომ იმათ, ვინც ნარკოტიკებით მოვაჭრეებთან შედარებით მილიარდჯერ უფრო მეტ დანაშაულს სჩადის, სახელმწიფო არათუ ებრძვის, პირიქით, ხელს უწყობს! საწამლავის გამყიდველებს მეძებრებივით დასდევენ, აპატიმრებენ და მკაცრად, დაუნდობლად სჯიან, რაშიც ცამდე მართალია კანონი, მაგრამ უდიდესი ბოროტების მთესველებს სახელმწიფომ უნდა წაუყრუოს?!

ბოლოს და ბოლოს, ნარკომანებს დათვლი, გამხრწნელი გადაცემებით გამოფიტულ ადამიანებს — ვერავითარ შემთხვევაში.

მე არ ვამბობ, გლოვა გამოცხადდეს-მეთქი დამარცხებულ ქვეყანაში. გადაცემები, განსაკუთრებით დღეს, და, საერთოდ მუდამ, საგანგებოდ უნდა შეირჩეს პატრიოტი, განათლებული, ტრადიციების დამცველი, გემოვნებიანი პიროვნებების მიერ.

დიქტორები როგორი გვყვანან ტელევიზიაში!

ეს არ უნდა ითქვას?

საელჩოების მუშაკებით მოყოლებული უამრავი უცხოელი ცხოვრობს თბილისში. ისინი ხომ უსმენენ ჩვენს ენას! როგორი შთაბეჭდილება შეექმნებათ მათ, როცა უამრავ „გოგუშკას“ თუ „ბიჭუშკას“, რომლებსაც დიქციისა და მეტყველების კულტურის ნატამალიც არ გააჩნიათ, მეგაფონი უჭირავს ხელში; ასეთივე დიქტორები სხედან მიკროფონებთან.

ბლუკუნით და სიტყვების ყლაპვით შეიძლება შეაყვარო სხვას შენი ენა? უგულოდ, ტყვიამფრქვევივით რომ მიაყრიან ტრაგიკულ საინფორმაციო ცნობებს, განსაკუთრებით ქალები, თითქოსდა ვიღაც მოსდევთ, მსმენელი ვერ ასწრებს, რომ გაიცნობიეროს ჯახირით წარმოთქმული სიტყვები, მაგრამ, საწყენი ისაა, რომ უცხოელს ქართულ ენაზე, მის მუსიკაზე, მდარე აზრი ექმნება. ბუნებრივია, რომ აინტერესებთ და სურთ შეიგრძნონ ჩვენი დიდებული ენა, მაგრამ ამ ენაბლუ დიქტორების წყალობით როგორი შთაბეჭდილება დარჩებათ! რაც მთავარია, თვითონ ჩვენ არ გვესმის, რას ამბობენ დიქტორები! შინაურული სახელებით რომ ერთმანეთს მიმართავენ, ეს რაღაა? მოფერებასაც თავისი დრო აქვს.

მეტყველების კულტურა მთელი ერის კულტურაზე მიანიშნებს.

სამწუხაროდ, ასაკოვან ადამიანებს ოჯახებში იმდენი ავტორიტეტი აღარა აქვთ, რომ გამხრწნელი გადაცემები გამორთონ. უფრო მეტიც, ისინიც, ხანში შესული მანდილოსნები თუ მამაკაცები, ქვეყნის დაცემისა და ნუვორიშების პარპაშის დროს, სიამოვნებით მისჩერებიან ეკრანებს! და ესაა არანაკლები უბედურება, ვიდრე მომავალი თაობის სერიალებისგან გამოფიტვა, გამოთაყვანება.

ნუთუ ყველაფერი უნდა დაივიწყო, რომ თავი შეიძციო, გაერთო, ტკივილის შეგრძნების უნარი დაკარგო. სხვაგვარი ახსნა ხანდაზმული ადამიანების მიერ ამორალური გადაცემების ყურებისა, ალბათ, არ მოიძებნება. გამოდის, რომ ეკრანებთან მოხუცი ხალხიც ნარკომანებივით თავის გადარჩენაზე ფიქრობს! თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ მალე გადავშენდებით.

საგანგებოდ უნდა ითქვას შემდეგი:

როცა რუსი შოვინისტები ხედავენ, რომ საქართველოს ტელევიზია ყოველდღიურად მოსახლეობის გამომათაყვანებელ სერიალებსა და გულისამრევ გასართობებს გადასცემს, ალბათ, მხრებს იჩეჩავენ და იმედი ეძლევათ — გააგრძელონ ჩვენ მიმართ დერეფავული პოლიტიკა. რა გასაკვირია, იფიქრონ, რომ დაფლეთილი ქვეყნის ხალხს არც ახსოვს, რა დღე დავაყარეთ და საქართველოს ტელევიზიის სისტემატური გადაცემები ჩვენს წისქვილზე აგდებს წყალსო.

ნაცვლად იმისა, რომ ყოველდღიურად, ანდა — ხშირად, საქართველოს ტელევიზია მსოფლიოს აუწყებდეს, რომ რუსმა შოვინისტებმა გენოციდი მოგვიწყვეს, მანჭვა-გრეხასა და ჭყავილს გადასცემს. რასაკვირველია, ზოგჯერ გამოერევა კარგიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ძალზე იშვიათად ხდება. გადაცემებში აშკარად იგრძნობა გაუბედურებული, დამშეული მოსახლეობისადმი გულგრილობა, მისი არად ჩაგდება.

ქვეყანა რომ წელში გამართული იყოს, ძლიერი, გამთლიანებული, სინდისიერი, ნიჭიერი, მცოდნე და განათლებული ადამიანი დაფასებული, მაშინაც კი არ შეგვფერის ტინგიცობა და ახლა? დღეს?!

გავბედავ და ჩემს თავს ნებას მივცემ, ვთქვა, რომ ჩვენი ეკლესიაც ტელევიზიის მიმართ წაყრუებულ დამოკიდებულებას იჩენს. მკრეხელობაში, ალბათ, არავინ ჩამომართმევს ამ სიტყვებს. დარწმუნებული ვარ, რომ თუ ჩვენი მღვდელმთავრები ინებებენ და ტელევიზიაში დამკვიდრებულ არაადამიანურ გადაცემებს საჯაროდ დაწყევლიან, შეაჩვენებენ, ბოროტებას ბოლო მოეღება. დიდი ზეგავლენა მოჰყვება სასულიერო პირების მიერ დაუნდობელ ბრძოლას სიმდაბლისადმი. ბავშვმაც კი იცის, რომ დემოკრატია სულაც არ ნიშნავს ამორალობის პარპაშს. თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, თითოეული ადამიანის პასუხისმგებლობაა საკუთარი თავისადმი, ქვეყნისადმი, ტრადიციებისადმი და არა აღვირახსნილობა სიცარიელის, უსულგულობის, ჭუჭყის...

სულიერი მწყემსის ტვირთი უნდა ზიდოს მხოლოდ და მხოლოდ ეკლესიამ.

კანონი ვერ წამოაყენებს დაცემულს.

მომავალი თაობა გადაშენდება, თუ განგაშის ზარებს არ ავაგუგუნებთ!

დიდმა და პატარამ უნდა შეიგნოს ჩვენში, რომ რასან ზარბაზნების გრუხუნი არ გვესმის, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთი საქართველოს აღარ ეომება.

ტელევიზიიდან დანაშაულებრივ გადაცემებს ბოლო უნდა მოეღოს!

ესაა წყარო, საიდანაც მოზარდები მკვლელობას სწავლობენ!...

ლევან მალაზონია

№ 97. ოთხშაბათი. 23 მაისი. 2007 წელი.

№ 97. ოთხშაბათი, 23 მაისი, 2007 წელი.

განსჯა

● ბატონი ჭაბუა ქართულ მწერლობაზე ბრძანებს, მე კი ზუსტად იგივე უნდა გავიმეორო ქართულ მეცნიერებასა და განათლებაზე. ამ დარგებს ქვეყნის შიგნით სწორედ ქართველი გლობალისტები უტევენ!

◎ ყველას თავისი აზრი აქვს

მე მინდა ქართული უნივერსიტეტი

საქართველოში ამჟამად მრავალი გარდაქმნა, არაერთი რეფორმა ტარდება. მე ვერ დავიწყებ ყველა ამ რეფორმის მიმდინარეობის ან უკვე მიღწეული შედეგების შეფასებას, რადგან არა ვარ სათანადოდ მომზადებული ყველა დარგში და ამჯერად არ მსურს ხელისუფლების საერთო პოლიტიკური გეზის ავკარგიანობაზე მსჯელობა, მაგრამ არის ერთი დარგი, ერთი მიმართულება, რომელშიაც ვერკვევი და მესმის, რა არის ამ დარგის გარდაქმნებში ცუდი ან კარგი — წინასწარვე ვიტყვი, რომ კარგი მე თავიდანვე ვერაფერი დავინახე და ჩემს გარშემო ვერავის ვხედავ, რომელიც ამ კარგს ამჩნევდეს.

მე მხედველობაში მაქვს განათლებისა და მეცნიერების რეფორმირება. ჯერ კიდევ ორი წლის წინათ, როცა ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები იდგმებოდა, მე მხარი დავუჭირე აკად. ი. გამყრელიძეს, აკად. დ.მუსხელიშვილს და სხვათა საპროტესტო გამოსვლებს და გამოვთქვი დაუფარავი აღშფოთება იმ სრულიად დაუსაბუთებელი, არაპროფესიული ქმედებების წინააღმდეგ, რასაც ატარებდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასა და ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მაშინაც აღვნიშნე და ახლაც უნდა გავიმეორო: მე 1945 წელს შევედი უნივერსიტეტში, გავიარე სტუდენტობა, ასპირანტობა, ლექტორობა — ვიყავი დოცენტი, პროფესორი, რამდენიმე წელი პრორექტორი ისეთ რექტორებთან, როგორებიც იყვნენ ევგენი ხარაძე და ილია ვეკუა. ვიყავი კათედრის გამგე.

ეს ყოველივე აპირობებს ჩემს უფლებას, რომ უნივერსიტეტის შიდა ცხოვრებაში ვერკვეოდე. ამასთან, წლების მანძილზე ვმუშაობდი მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში (სადაც დღემდე ვსაქმიანობ), ამდენად, კარგად ვიცნობ მეცნიერებათა აკადემიის ჰუმანიტარულ ინსტიტუტებს, იქ მიმდინარე სამეცნიერო პროცესებს. ყოველივე ეს მაძლევს სრულ უფლებას შევაფასო, რაც ხდება როგორც უმაღლესი განათლების სფეროში, ისე მეცნიერებათა აკადემიაში და უნდა სრული პასუხისმგებლობით კვლავ განვაცხადო, რომ ორივე სფეროში მოხდა სრულიად გაუმართლებელი ცვლილებები, მათი გაუმჯობესების ხაზით არა გარდაქმნა, არამედ დანგრევა!

ჩემს ადრეულ გამოსვლებშიაც აღვნიშნე, და ახლაც ვიმეორებ, რომ გარკვეული რეფორმები უმაღლეს სასწავლებლებშიც და აკადემიაშიც უდავოდ უნდა ჩატარდეს, მაგრამ ეს უნდა ჩატარდეს პროფესიულ დონეზე და არა ისე, როგორც დღეს ხდება. უნივერსიტეტშიაც და აკადემიის ინსტიტუტებშიც (იმათში, სადაც მე ხელი მიმიწვდება) სრული ქაოსია, ვიღაც გაათავისუფლეს (ხშირად გაუმართლებლად), ვიღაც დატოვეს, რა პრინციპით, რა კრიტერიუმით, გაუგებარია. ერთიანდება ინსტიტუტები, ისპობა ფაკულტეტები, კათედრები, უქმდება კაბინეტები... და კვლავ გაუგებარია — რატომ, რა გამართლებით...

ამ საკითხს იმიტომაც მივუბრუნდი, რომ, ჩემდა განსაცვიფრებლად, მაღალი კათედრებიდან მესმის აბსურდული შეფასება: თურმე ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული რეფორმა გატარდა სწორედ მეცნიერებისა და განათლების დარგში, რომ აქაა მიღწეული ყველაზე დიდი წინსვლა. ეს ხომ სრული გაუგებრობაა!!! თავი რომ დავანებოთ წმინდა ორგანიზაციულ მხარეს, მთელი ეს „რეფორმა“ დიდ დარტყმას აყენებს ჩვენს ეროვნულობას!

„საქართველოს რესპუბლიკის“ 9 მაისის ნომერში გამოქვეყნდა ჩვენი სასიქადულო მწერლისა და მოღვაწის ჭაბუა ამირეჯიბის დიდი შინაგანი ტკივილით გაჯერებული წერილი, სადაც წერს: **„წარსულ მტერთაგან განსხვავებით, საქმე გვაქვს ძლიერ და დაუნდობელ მოწინააღმდეგესთან, რომელსაც გულახდილად და საქვეყნოდ აქვს დეკლარირებული მცირე ერების თანდათანობითი აღგვა პირისაგან მიწისა, მსოფლიო კაპიტალისა და ეკონომიკურად დაწინაურებული ერების ინტერესთა უზრუნველსაყოფად... ქართულ მწერლობას იმიტომ შემოუტიეს გლობალიზმის ქართველმა მიმდევრებმა, რომ იციან, სანამ ცოცხალობს და ვითარდება ქართული მწერლობა, ცოცხლობს და ვითარდება ქართველთა სულიერება“.**

ბატონი ჭაბუა ქართულ მწერლობაზე ბრძანებს, მე კი ზუსტად იგივე უნდა გავიმეორო ქართულ მეცნიერებასა და განათლებაზე. ამ დარგებს ქვეყნის შიგნით სწორედ ქართველი გლობალისტები უტევენ!

ამას წინათ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა კ.ლომაიამ თავმოწონებით განაცხადა (ტელევიზიით მოვისმინე): „ქართული უნივერსიტეტი უახლოვდება ევროპულ უნივერსიტეტებს!“

ვითომ აგრერიგად თავმოსაწონია ეს ფაქტი?! მე არ მინდა „ევროპული უნივერსიტეტი“, მე მინდა ქართული უნივერსიტეტი, ისეთი უნივერსიტეტი, რომელმაც ათეული წლების მანძილზე შეინახა და განავითარა არა მარტო ქართული მეცნიერება, არამედ, რაც მთავარია, ქართული სულიერება, ეროვნული, დიახ ეროვნული მრწამსი, რომელმაც გაზარდა თაობები ქართველი მეცნიერებისა, სპეციალისტებისა, რომლებიც არაფრით, სრულიად არაფრით ჩამოუვარდებოდნენ ნებისმიერი ევროპული უნივერსიტეტის აღზრდილ-მომზადებულ კადრებს. მრავალ სიმპოზიუმსა და კონფერენციაში მიმიღია მონაწილეობა ლონდონში, ვენაში, ბერლინში, იენაში, ციურიხში, ვყოფილვარ ნიუ-იორკში და არსად არ მიგრძვნია იქაურ კოლეგათა რაიმე უპირატესობა. იგივე მიზნით აქ ჩამოდიოდნენ ისტორიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები, ბიზანტისტები და აქაც ყოველმხრივ ამჟღავნებდნენ თავიანთ პატივისცემას ქართული უნივერსიტეტის მიმართ.

ჩვენ დიახაც გვინდა ევროპული აღნაგობისა და ფუნქციის აკადემია, ოღონდ ქართული სულისკვეთებით განმსჭვალული, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველ მეცნიერთა ისეთი საერთაშორისო აღიარების მქონე სკოლები, როგორებიც იყვნენ ივ.ჯავახიშვილის, ნ. მუსხელიშვილის, ივ. ბერიტაშვილის, დიმ. უზნაძის, გ. ჩუბინაშვილის, ი. ვეკუას, ს. ყაუხჩიშვილის სკოლები.

რაც მთავარია, როგორც უნივერსიტეტში, ისე აკადემიაში, ამ მეცნიერებმა დაიცვეს ჩვენი სულიერების ამ დარგთა ეროვნულობა.

მე მესმის, ქართველები ევროპელები ვართ, ჩვენ უნდა ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში და პოლიტიკაში ევროპისკენ ავიღოთ გეზი, მაგრამ ეს უნდა მოხდეს გააზრებულად, გამოზომილად და უდავოდ ეროვნული პოტენციალისა და ტრადიციების შენარჩუნებით, დაცვითა და განვითარებით.

უნდა გავიაზროთ, რომ განათლებისა და მეცნიერების რეფორმა არ არის წარმატებული, იგი იწვევს ჩვენი მეცნიერებისა და განათლების მსოფლიო კულტურებში გათქვეფას, რაც მთავარია, არის აბსოლუტურად არაეროვნული, ქართული სულიერების დამთრგუნველი.

ნოდარ ლომოური.

◎ ინფორმაცია

ვიზიტად ბალტიისპირეთში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის სასწავლო ნაწილის უფროსი ნატო გუგავა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულების დირექტორი მედეა ალანია, არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების დირექტორი ხათუნა ჯაპავა და ცენტრის 4 ლექტორი გუშინ ესტონეთში გაემგზავრნენ.

ვიზიტი „შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო“-ს მიერ დაფინანსებული პროექტის „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დახმარება“ ფარგლებში ხორციელდება.

დნესტრისპირელებს რა „კუჭი ეწვით“?

დნესტრისპირეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში 1992 წელს ზარის გზაზე მომხდარი ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნის პატივსაცემად სპეციალური მიმართვა გააგზავნა. მიმართვაში ტირასპოლი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხალხს სამძიმარს უცხადებს და მიუთითებს, რომ „ტირასპოლში დღემდე დიდი შეშფოთებით ხვდებიან იმ ფაქტს, რომ დღემდე, როგორც საქართველოს, ისე მოლდოვას ხელისუფლებებს ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაზე უარი არ უთქვამთ“.

განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ აფხაზეთს, ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და დნესტრისპირეთს, ერთად ყოფნის შემთხვევაში „ექნებათ რა დაუპირისპირონ“ თბილისისა და კიშინიოვის აგრესიულ ქმედებებს. „ერთობითა და შეთანხმებული მოქმედებებით, ჩვენ შეგვეძლება თავიდან ავიცილოთ და მოვიგერიოთ ყველა თავდასხმა და წინააღმდეგობა და დასახულ მიზანს მივაღწიოთ“, — ნათქვამია განცხადებაში.

ХО-ЭОВ-ЭБО

აფხაზები იწვრთნებიან

კრასნოდარის მხარის დაბა ვესიოლოეში აფხაზური ე.წ. სამხედრო შენაერთები ინტენსიურ წვრთნას გადიან. იქ მცხოვრებმა ქართველებმა სააგენტოს აცნობეს, რომ 21-22 მაისს ფსოუს ადმინისტრაციული საზღვარი „უაზისა“ და „ურალის“ ტიპის რამდენიმე ავტომობილმა გადაკვეთა, რომლებითაც აფხაზი სამხედროები დაბა ვესიოლოეში გადაჰყავდათ. აფხაზებმა რამდენიმე ტყვიამფრქვევი და სხვა სამხედრო აღჭურვილობაც გადაიტანეს.

ინტერპრესნიუსი

◎ კონფერენცია

მუჰაჯირობის წლისთავს მიეძღვნა

21 მაისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში რუსეთის მიერ მე-19 საუკუნეში პროვოცირებული კავკასიის ომის დამთავრების 150 წლისთავთან დაკავშირებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ეგიდით ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „პონტო-კავკასიის გეოცივილიზაციის ცნობიერი აღორძინებისათვის“. **კონფერენცია მიეძღვნა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მუჰაჯირობის 130-140 წლისთავს.**

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თეიმურაზ მჟავიამ.

მოხსენებით გამოვიდნენ პროფესორები ჯემალ გამახარია („21 მაისი — საერთო კავკასიური ტრაგედიის დღე“), დაზმირ ჯოჯუა („კავკასია, როგორც გეოცივილიზაცია“), გურამ მარხულია („პონტო-კავკასიის სივრცე და დიდი სომხეთის იდეა“), ბეჟან ხორავა („მუჰაჯირობა კავკასიაში და მისი ტრაგიკული შედეგები“), თემურ გვანცელაძე („მუჰაჯირობა აფხაზეთში და XIX საუკუნის ქართული საზოგადოება“), მანანა ტაბიძე („იაკობ გოგებაშვილი აფხაზთა მუჰაჯირობის შესახებ“), საქართველოს ეროვნული აკადემიის და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი სერგი საჯაია („პონტო-კავკასიის ერთიანობის სულისკვეთება ქართულ მწერლობაში“).

მოისმინეს პროფ. ჯემალ გამახარიას ინფორმაცია სოჭის ოლიმპიადის მზადებისა და კავკასიელთა პროტესტის შესახებ.

ალექსანდრე ავალიანი.

დღევანდელობა

● პარლამენტის მიერ სამი წლის წინათ მიღებული როგორც ზოგადი, ისე უმაღლესი განათლების კანონები კი სამარცხვინოა

ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ საზოგადოება

მთელი ერის მოსამსახურე პერსონალად ან ჯარისკაცებად გადაქცევა სურთ!..

„ქართული აკადემია“ განათლების რეფორმის შედეგებს აფასებს

„ქართულმა აკადემიამ“, რომლის დევიზი „ქართული ცნობიერებისა და თვითმყოფადობის გადარჩენისათვის“, პრესკონფერენცია გამართა, რომლის თემაც იყო ქართული განათლების სისტემის დღევანდელი მდგომარეობისა და ამ სისტემაში განხორციელებული რეფორმის შედეგების შეფასება.

აკადემიკოსმა შოთა ნადირაშვილმა ილაპარაკა დღევანდელ სკოლაში არსებული პრობლემების გამომწვევ მიზეზებზე – თუ ადრეულ ასაკში მოზარდი ძირითადად მშობლებისა და მასწავლებლების მოსაზრებებს სცემს პატივს და იზიარებს მათ, 10-12 წლიდან იწყება თვითდამკვიდრების პროცესი. ის თვითონ იწყებს თავისი საქციელის შეფასებას. მოზარდისათვის მეტად მნიშვნელოვანი ხდება ამხანაგების წრეში თავის გამოჩენა, მისაბაძად ყოფნა. ასეთი მდგომარეობის მიღწევა შრომით, სწავლით ძნელია, დიდ ძალისხმევას მოითხოვს და ზოგიერთი ბავშვი „იოლ“, დანაშაულებრივ გზას ადგება. დანაშაულებრივი საქციელი ხდება მისი „წარმატების“ საფუძველი. ჩნდებიან მის მიერ დაჩაგრულები. ჩნდება კითხვა – ვინ არის დამნაშავე? შეიძლება პასუხი ასეთი იყოს – მოსწავლე. მაგრამ მას ხომ ბევრი რამ არ ესმის. აქ სკოლაა დამნაშავე. სკოლამ უნდა მოახერხოს მოსწავლის დაინტერესება სასარგებლო საქმით, სასწავლო პროგრამებით, საგნობრივი წრეებით, სპორტული ღონისძიებებით.

ბატონი შოთა ნადირაშვილი მიიჩნევს, რომ საინტერესო და სასარგებლო საქმიანობაში ჩაბმით მოსწავლემ შეიძლება მიაღწიოს წარმატებას და დაიკმაყოფილოს ამხანაგებთან თავის გამოჩენის მოთხოვნილება. საჭიროა სკოლის სწორად ორგანიზება, რადგანაც სწორედ იქ ხდება პიროვნების ჩამოყალიბება, ამბობს შოთა ნადირაშვილი. ადრინდელი სკოლა მოითხოვდა რეფორმირებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს ყველაფრის დანგრევას და ყველაფრის თავიდან დაწყებას.

საქართველოს ზოგადსა და უმაღლეს სკოლებში ჩატარებული რეფორმების შედეგებზე ილაპარაკა პროფესორმა მერაბ ჯიბლაძემ: რეფორმები განათლების სისტემაში 1991 წელს დაიწყო, მაშინ როდესაც ფასიანი უმაღლესი სკოლები გაიხსნა. მე მაშინაც მიმაჩნდა, რომ ამ ფორმით კერძო სასწავლებლების დამკვიდრება იყო შეცდომა, რომელმაც გამოიწვია როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უმაღლეს სკოლებში დონის თანდათანობითი დაქვეითება. პარლამენტის მიერ სამი წლის წინათ მიღებული როგორც ზოგადი, ისე უმაღლესი განათლების კანონები კი სამარცხვინოა. ამ კანონების განხორციელებამ როგორც სტუდენტებში, ისე მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის დაცემა მოიტანა. ისინი ფიქრობენ, რომ არ არის საჭირო სწავლაზე და განათლებაზე დიდი ენერგიისა და დროის ხარჯვა, რადგან ხედავენ, რომ არც პროფესორს, არც მასწავლებელს და საერთოდ განათლებას დაფასება არ აქვს. დღევანდელი კატასტროფული მდგომარეობა არის შედეგი აზროვნებისა და ცოდნის გეგმაზომიერი დევალვაციისა. არ აინტერესებთ მოაზროვნე, მაღალი შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანები. სურთ მთელი ერი გადააქციონ მომსახურე პერსონალად, ან – ჯარისკაცებად. მერაბ ჯიბლაძემ რეფორმების მომავალ შედეგებზეც ისაუბრა: დღეს სკოლა 12-წლიანი გახდა, მაგრამ სკოლადამთავრებულის განათლების დონე ადრინდელი მეშვიდეკლასელის დონის ტოლფასია. ეს დონე არ შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს და ასეთი განათლებით ჩვენი ახალგაზრდები ვერ შესძლებენ სწავლის გაგრძელებას უცხოეთში, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ კი, ჩვენ არც ნორმალური ექიმი გვეყოლება, არც ინჟინერი და არც სხვა. ჩვენ მივდივართ იქით, რომ საქართველო დაემსგავსოს ზამბიას და კონგოს. როდესაც განვითარებადი ქვეყნის სტატუსი მოგვცეს, ასეთი რეკომენდაციებიც მივიღეთ: სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს მხოლოდ დაწყებითი განათლება. როცა სახელმწიფო აფინანსებს მხოლოდ სტუდენტს, უმაღლესი სკოლა დაუფინანსებელი რჩება. ასეთ სიტუაციაში რენტაბელური რჩება მხოლოდ დაწყებითი განათლება, რომელიც არც ლაბორატორიებს მოითხოვს და არც კაბინეტებს. მერაბ ჯიბლაძის თქმით, თუ გზა არ ვიპოვნეთ, ჩვენ ქვეყანას ინტელექტუალური განადგურება ელის. სამი წლის წინათ ჩვენ წავაგეთ ბრძოლა განათლების კანონის წინააღმდეგ. დღეს საჭიროა მთელი საზოგადოება ჩაერთოს ქართული განათლებისა და მეცნიერების გადარჩენისათვის ბრძოლაში.

პროფესორმა გიორგი ანთელავამ, აღმოსავლეთმცოდნემ განაცხადა: თსუ-ში ჩატარებულმა რეფორმამ ნათლად დაგვანახა ამ რეფორმის უსუსურობა. უნივერსიტეტის ზოგიერთი მიმართულების განვითარება პრაქტიკულად ეჭვქვეშ დადგა. ამის თქმის უფლებას მაძლევს ზოგიერთი სადიპლომო ნაშრომის თუნდაც სათაური. ასეთი თემები პირველი-მეორეკურსელის საკურსო ნაშრომის შესაფერისია. თუ არ იქნა ძირეული ცვლილებები, ჩვენ დავკარგავთ იმ დიდ მონაპოვარს, რომლითაც ქართული ორიენტალისტიკის სკოლა განთქმული იყო მთელ მსოფლიოში.

პროფესორმა ოთარ მელქაძემ მიმოიხილა ფასიან უმაღლეს სკოლებში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობა.

პროფესორმა მაია ნათაძემ განცხადა, ყველაფერი, რაც განათლების სისტემაში ხდება, მიზანმიმართული ქმედებაა.

განათლების რეფორმის შედეგების მისეული ხედვა წარმოადგინა საზოგადოებრივი გაერთიანების „სოლიდარობა განათლებული საქართველოსათვის“ გამგეობის წევრმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა აველინა დავითულიანმა.

როგორც დავინახეთ, „ქართული აკადემია“ მუშაობს განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგების შეფასებაზე და მათი საზოგადოებისათვის წარდგენაზე.

დალი ძვირია.

◎ SIC!

პროთეზი დროებითია!

გერმანიიდან დაბრუნებული 9 წლის ციცი ყალაბეგაშვილი დამოუკიდებლად სიარულს შეძლებს

გასულ ზაფხულს თურქეთში, სამსუნთან მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგად დაინვალიდებული გურჯაანის რაიონში მცხოვრები 9 წლის ციცი ყალაბეგაშვილი ამიერიდან დამოუკიდებლად გადაადგილებას შეძლებს. ავტობუსით მგზავრობისას პატარამ მძიმე ავარიის შედეგად ორივე კიდური დაიზიანა, რის შედეგადაც ორივე ფეხი მოჰკვეთეს.

ტრაგედიის შემდეგ ციცი ვერც სკოლაში დადიოდა, რის გამოც მშობლებს საკმაოდ დიდ მანძილზე ბავშვი ხელით დაჰყავდათ, რაც მათ ყოფას კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა.

ოჯახს მისი უცხოეთში გამგზავრების ფინანსური სახსრები არ გააჩნდა, რის გამოც პატარას რთულ პირობებში ყოფნა უწევდა. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ დაზარალებულს 10 ათასი ევრო გამოუყო, რის შემდეგაც იგი საზღვარგარეთ გაემგზავრა. ყალაბეგაშვილს გერმანიაში ინგოსტატის კლინიკაში სპეციალური პროთეზები გაუკეთეს.

შეგახსენებთ, რომ თურქეთში მომხდარი ინციდენტის შედეგად, ხუთი ქართველი დაიღუპა, ათეულობით კი მძიმედ დაშავდა.

9 წლის ციცი ყალაბეგაშვილი, რომელიც უკვე დამოუკიდებლად გადაადგილდება, სამშობლოში ერთი კვირის წინათ დაბრუნდა.

ყალაბეგაშვილის მშობლები შედეგით კმაყოფილი არიან, თუმცა, იმასაც დასძენენ, რომ მოზარდს ყოველ 2 წელიწადში ერთხელ პროთეზის გამოცვლა დასჭირდება, რაც საკმაოდ სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული. ყალაბეგაშვილების ოჯახს საამისო სახსრები არ გააჩნია. ისინი მიიჩნევენ, რომ ეს სიხარული დროებითია და ბავშვს სხვადასხვა პრობლემა მომავალშიც შეხვდება...

ჩვილი გათბობის ნაცვლად... დაწვეს!

დედოფლისწყაროს სამშობიარო სახლში რამდენიმე დღის წინათ 24 წლის მშობიარე, სოფელ გამარჯვების მკვიდრი მანანა პოპიაშვილი მიიყვანეს. ბავშვი ჯანმრთელი დაიბადა, თუმცა ექიმებმა ჩვილის გასათბობად ე.წ. ელექტროსათბური გამოიყენეს, საიდანაც სითხემ გაჟონა და ახალშობილმა ზურგის მიდამოებში მესამე ხარისხის დამწვრობა მიიღო. აღსანიშნავია ისიც, რომ დედოფლისწყაროში ახალშობილი გოგონას დაწვის ფაქტი ერთი წლის წინათაც დაფიქსირდა, მიღებული დაზიანებების სამკურნალოდ პატარას საკმაოდ სოლიდური თანხა ესაჭიროება.

ინფორმაციის „გაჟონვისთანავე“ შპს „დედოფლისწყაროს საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების“ დირექტორს ვანო ნატროშვილს ვესაუბრეთ, რომელმაც სამშობიაროში ჩვილის დაწვის ფაქტი დაადასტურა. თუმცა, იქვე განაცხადა, სემინარებზე დავდივარ და დაწვრილებით ინფორმაციას არ ვფლობო. დეტალების დასაზუსტებლად მოადგილეებისკენ მიგვითითა. ჩვენ მის მოადგილესაც შევხვდით, რომელმაც მომხდარი დაადასტურა, გულწრფელი შეშფოთება გამოხატა და დასძინა, რომ დეტალები მისთვის ცნობილი არ არის და მომხდარის შესახებ მხოლოდ გადმოცემით იცოდა... გაირკვა, რომ ისინი არც ბავშვის ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ ფლობდნენ ინფორმაციას.

ახალშობილის მამა ჯონი გელაშვილი „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ კახეთის ოფისს ეწვია და განაცხადა, ბავშვი კარგადაა, სახლში იმყოფება და სკანდალის ატეხვა საჭირო არ არისო...

როგორც შევიტყვეთ ახალშობილს მიღებული მძიმე დამწვრობის შედეგად თირკმელი გაუჩერდა. მოგვიანებით ისიც გავარკვიეთ, რომ ჩვილი ჯერ თბილისის დამწვრობის ცენტრში, შემდეგ კი დიღომში, ჟვანიას სახელობის ბავშვთა კლინიკაში გადაიყვანეს.

მეორე დაზარალებულ გოგონას სახლში ვეწვიეთ. დაზარალებულის დედა აცხადებს, რომ დედოფლისწყაროს სამშობიაროში მისი შვილი რეზინის სათბურით დაწვეს. გოგონას სამკურნალოდ, თვეში ერთხელ, თბილისში ჩაყვანა და სოლიდური თანხაა საჭირო. მიუხედავად ყველაფრისა, ოჯახმა დასახმარებლად დედოფლისწყაროს გამგეობას და შესაბამის სამსახურებს არაერთხელ მიმართა, თუმცა უშედეგოდ...

მოგვიანებით, დედამ გოგონას სხეული გვაჩვენა. წელიწადნახევრიანი, ძვირადღირებული მკურნალობის მიუხედავად, ბავშვის სხეული დღესაც შემზარავად გამოიყურება. ოჯახი დანანებით იმასაც დასძენს, რომ უზარმაზარი ნაიარევები გოგონას სრულწლოვანებამდე გაჰყვება, რის შემდეგაც მისთვის პლასტიკური ოპერაციის გაკეთება გახდება შესაძლებელი.

თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ახლანდელი ახალშობილის მდგომარეობა ბევრად უფრო მძიმეა, რადგან მას ძლიერი დამწვრობა ზურგის არეში აქვს, რამაც თირკმლის გაჩერება და მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია.

დედოფლისწყაროელები აღშფოთებული არიან და აცხადებენ, რომ ამ ფაქტების შემდეგ, ორსულთა დიდი ნაწილი, სამშობიაროდ დედაქალაქში ჩასვლას ამჯობინებს. რაიონის ხელმძღვანელობა ბევრს ეცადა ეს სავალალო ინფორმაცია ჟურნალისტებისთვის დაემალა, თუმცა ამაოდ...

ილია მარტყოფლიშვილი,
კახეთიდან

უცხოური პრესა

● ყოფილი მინისტრის დაბრუნებას ხელისუფლება შეშფოთებით ელოდა და მან გარკვეული „საგანგებო კონტრზომებიც“ კი მიიღო

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

მიხეილ სააკაშვილს საშიში მოწინააღმდეგე გამოუჩნდა

ირაკლი ოქრუაშვილი, ყოფილი თავდაცვის მინისტრი, ქართულ პოლიტიკაში მთავარი „ომისმოტრფიალე“, რომელმაც გაითქვა სახელი განცხადებით, რომ რუსეთელები ღვინის ნაცვლად ფეკალურ მასებსაც კი სვამენო, კვლავ უბრუნდება დიდ პოლიტიკას. თანაც, უბრალოდ კი არა, ოქრუაშვილი გადადის მიხეილ სააკაშვილის ოპოზიციაში. არადა, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ქვეყნის პრეზიდენტს ოქრუაშვილის მეგობრად და მფარველად მიიჩნევდნენ.

ოქრუაშვილი თავდაცვითი უწყების ხელმძღვანელობას ამ ნახევარი წლის წინ ჩამოაშორეს. შერისხული მინისტრის რეაქცია ასეთ გადაწყვეტილებაზე, მეტი რომ არ ვთქვათ, ზედმეტად ემოციური გამოდგა – მან დაამტვრია ავეჯი პრეზიდენტის კაბინეტში და თავის „მეგობარ მიშას“ გულახდილად უთხრა ყველაფერი, რასაც მასზე ფიქრობდა. ამის შემდეგ ოქრუაშვილმა დატოვა საქართველო, თუმცა აღნიშნა, რომ კვლავ დაბრუნდებოდა... და აი, პირობა შეასრულა კიდეც.

უკვე უახლოეს დღეებში 33 წლის ყოფილი მინისტრი აპირებს თავისი პარტიის პრეზენტაციის მოწყობას. როგორც მოელიან, პარტიის შემადგენლობაში შევა „ქართული პოლიტიკის რამდენიმე აქტიური ფიგურა“, რომლებთანაც ოქრუაშვილი უკვე კარგა ხანია მართავს კონსულტაციებს. ალბათ, პარტიაში არც რიგითი წევრების დეფიციტი იქნება. რაც უფრო უარესდება ქვეყანაში სოციალური და ეკონომიკური ვითარება, მით უფრო მეტი მომხრეები უჩნდებათ ექსმინისტრის ტიპის აგრესიულ მარგინალებს. ეს განსაკუთრებით ეხება 250 ათას ლტოლვილს.

ჯერჯერობით გარკვევით ვერაფერს ვიტყვით ახალი პარტიის შესახებ, გარდა იმისა, რომ იგი ოპოზიციური იქნება. პარტიის მთავარი ოფისი განლაგდება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოს მახლობლად. პრეზენტაცია კი გაიმართება ცხინვალიდან, როგორც იტყვიან, ორიოდე ნაბიჯში – ქალაქ გორში, იოსებ სტალინის სამშობლოში. სხვათა შორის, ოქრუაშვილმაც ბავშვობის წლები იქ გაატარა.

ექს-მინისტრის პოლიტიკური შეხედულებები საქართველოში საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს. იგი ყოველთვის, უჭერდა მხარს კონფლიქტების ძალისმიერი გზით მოგვარებას. სწორედ მის სინდისზეა სამხრეთ ოსეთის „შტურმი“ 2004 წელს, რომელმაც ჩიხში მოაქცია ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესი. გარდა ამისა, ოქრუაშვილმა თავის დროზე განაცხადა, რომ ახალ, 2007 წელს ცხინვალში შეხვდებოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა...

რუსეთის მიმართ ყოფილი მინისტრი ძალზე მტრულადაა განწყობილი, თუმცა, ვერც დასავლეთთან ახერხებდა ყოველთვის საერთო ენის გამონახვას. ერთხელ ოქრუაშვილმა პრეზიდენტის დასავლელ მფარველებს ისიც კი ურჩია, რომ თავიანთი საქმეებისთვის მიეხედათ და არ ჩარეულიყვნენ საქართველოს საშინაო პრობლემებში. ეს მას ძვირად დაუჯდა. როგორც ამბობენ, ოქრუაშვილი „თავიდან მოიშორეს“ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის ზემოქმედებით, რომელიც უკმაყოფილო იყო ამ უმართავი მინისტრის მოქმედებით.

ამასთან, ოქრუაშვილის როგორც მტრები, ისე მეგობრები აღიარებენ, რომ იგი იყო ერთადერთი კაცი საქართველოს ხელმძღვანელობაში, რომელიც არ უშინდებოდა პრეზიდენტთან კამათს, მათ შორის – საჯაროდაც.

მთელი ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ოქრუაშვილი ცხოვრობდა დიდ ბრიტანეთსა და უკრაინაში. თბილისში იშვიათად ჩამოდიოდა. მაგალითად, იგი დაესწრო ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ნეშტის სამშობლოში გადმოსვენების ცერემონიას. მაშინვე გაიმართა მისი ბოლო შეხვედრა სააკაშვილთან. როგორც ამბობენ, პრეზიდენტმა ყოფილ თანამოსაგრეს პრემიერის პოსტი შესთავაზა, მაგრამ ოქრუაშვილი არ დათანხმდა.

ექს-მინისტრს დღემდე არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, თუ რატომ მოუვიდა უთანხმოება სააკაშვილთან. ერთ-ერთი ვერსიით, თავდაცვის მინისტრი განაწყენებულა იმაზე, რომ მას არ დართეს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება. მეორე ვერსიით კი, ამ ორმა მეგობარმა გაითამაშა სპექტაკლი, რომელიც პირობითი სახელწოდებაა „რღვევა“. ყოველივე ამის არსია ის, რომ ოქრუაშვილი სათავეში უნდა ჩაუდგეს „მოშინაურებულ ოპოზიციას“.

ზოგიერთი მონაცემით, „ირაკლის პარტიას“ დააფინანსებს მთავარი ქართველი ოლიგარქი, ბორის ბერეზოვსკის მეგობარი ბადრი პატარკაციშვილი, რომელსაც ოქრუაშვილი არაერთხელ შეხვედრია ლონდონში.

ყოფილი მინისტრის დაბრუნებას ხელისუფლება შეშფოთებით ელოდა და მან გარკვეული „საგანგებო კონტრზომებიც“ კი მიიღო. მაგალითად, „ვარდების რევოლუციისადმი“ მიძღვნილი ექსპოზიციიდან, რომელიც პარლამენტში იყო გახსნილი, მოულოდნელად გაქრა ოქრუაშვილის ფოტოები. ცოტა ხნის შემდეგ კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ახალი ოპოზიციონერის“ წინააღმდეგ შეიძლება აღიძრას სისხლის სამართლის საქმე თავდაცვის მინისტრად მუშაობის დროს თითქმის 60 მილიონი დოლარის გაფლანგვის გამო.

ალექსანდრე იაშვილი

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

პრაღა თბილისს საბრძოლო თვითმფრინავებს სთავაზობს

ჩეხეთი მზად არის, რომ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის სტანდარტების შესაბამისი იარაღის მიწოდებით შეუწყოს ხელი საქართველოს დაახლოებას ნატოსთან. 21 მაისს თბილისის პოპულარული გაზეთი „კვირის პალიტრა“, ჩეხური მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დამოწმებით იტყობინებოდა, რომ პრაღამ შესთავაზა ქართველ სამხედროებს ჩეხური წარმოების L-159 ALCA ტიპის ათი მსუბუქი მრავალმიზნობრივი მოიერიშე თვითმფრინავის, აგრეთვე 4 ათასი ერთეული ცეცხლსასროლი იარაღის მიყიდვა.



L-159 ALCA ახალი თვითმფრინავია, რომელიც 1990-იან წლებში შეიმუშავეს, მაგრამ მისი ერთადერთი მყიდველი ჩეხეთის თავდაცვის სამინისტრო აღმოჩნდა. ახლა თავდაცვითი უწყება აპირებს თავიდან მოიშოროს ეს მანქანები, რომლებიც თავის დროზე შეიძინა ადგილობრივი მწარმოებლებისათვის დახმარების გაწევის მიზნით. თვითმფრინავს შეუძლია გადაიტანოს ნატოს ნიმუშის „ჰაერ-ჰაერის“ ტიპის მართვადი რაკეტები, ბომბები, უმართავი სარაკეტო ჭურვები და ზარბაზნებით აღჭურვილი კონტეინერები.

მოლაპარაკება სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ გაიმართა 11 მაისს, ჩეხეთის პრემიერ-მინისტრის მირეკ ტოპალანეკის საქართველოში ვიზიტის დროს. ჩეხეთის დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა თავდაცვის მინისტრის მოადგილე მარტინ ბარტაკი, რომელიც შეხვდა თავის ქართველ კოლეგას ლევან ნიკოლეიშვილს. სწორედ ბარტაკმა განაცხადა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, რომ საქართველოდან ორი თვის განმავლობაში მოვიდოდა პასუხი თვითმფრინავების შესყიდვის შესახებ წინადადებაზე, რომელთაგან თითოეულის ფასი, ქართული საინფორმაციო საშუალებების მონაცემებით, 8,5 მილიონ დოლარს შეადგენს. ჩეხეთის მზადყოფნა საქართველოსთვის იარაღის მიწოდებასთან დაკავშირებით დაემთხვა თბილისში სამხედრო ხარჯების გადიდებას. მაისში სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანეს ცვლილებები, რომელთა თანახმადაც თავდაცვისათვის გამიზნული ხარჯები 570 მილიონ დოლარს აღემატება.

აღსანიშნავია, რომ ჩეხეთისგან შეიარაღება საქართველოს წინათაც შეუსყიდია. ქართველი პილოტების წვრთნისთვის განკუთვნილი L-29 „დელფინის“ ტიპის ათი თვითმფრინავი შვიდი წლის წინათ შეისყიდეს. ერთმა მათგანმა საწვრთნელი ფრენის დროს განიცადა კატასტროფა, რის შედეგადაც დაიღუპა მფრინავი. ჩეხური წარმოების L-39 „ალბატროსის“ ტიპის კიდევ ექვსი მსუბუქი საწვრთნელ-საბრძოლო თვითმფრინავი საქართველომ შარშან შეიძინა უკრაინაში. ამ საფრენოსნო აპარატების პრეზენტაცია გაიმართება 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ პარადზე.

ქართველი არტილერისტები იყენებენ სხვადასხვაგვარ ჩეხურ სისტემებსა და დანადგარებს. „1998 წელს საქართველომ ჩეხეთისგან იყიდა ცეცხლსასროლი იარაღის პარტია, – გვითხრა „რადიო თავისუფლების“ თბილისის ბიუროს სამხედრო მიმომხილველმა კობა ლიკლიკაძემ. – ეს იარაღი ახალი არ იყო. 1998 წლის მაისში აფხაზეთის გალის რაიონში მოხდა სერიოზული შეტაკება ქართველებსა და აფხაზთა ძალებს შორის. ამ შეტაკების დროს ჩეხურმა ტყვიამფრქვევებმა ვერ გაამართლეს, რამაც სკანდალი გამოიწვია“. მოგვიანებით გაირკვა, რომ ჩეხეთი ქართულ მხარეს სთავაზობდა იარაღის შეკეთებას მისი გაყიდვის წინ, მაგრამ ქართველები ამას არ დათანხმდნენ, რადგან ძალზე ეჩქარებოდათ მისი შეძენა.

საქართველოს სამხედრო წრეების წყაროებიც ამტკიცებენ, რომ ჩეხები მოიერიშე თვითმფრინავებს ქართულ მხარეს სთავაზობენ ისრაელში შეიარაღების შესყიდვის შესახებ ჩაშლილი გარიგების სანაცვლოდ. როგორც ცნობილია, ისრაელმა არ ისურვა რუსეთთან ურთიერთობის გაუარესება და უარი თქვა საქართველოსთვის იარაღის მიყიდვაზე. თვით საქართველოში ჯერჯერობით ვერ გარკვეულან, სჭირდება თუ არა ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს ეს თვითმფრინავები, და თუ სჭირდება – რა რაოდენობით. **ერთი რამ კი აშკარაა: ნატოს ეგიდით სამხედრო მფრინავების ფართომასშტაბიანი მრავალეროვნული წვრთნის დაწყებამდე, რომელიც საქართველოში 9 ივლისს გაიმართება, ჩეხური მოიერიშე თვითმფრინავები, ალბათ, ვერ შეავსებენ საქართველოს შეიარაღებული ძალების არსენალს.**

მიხეილ ვიგნანსკი

ВРЕМЯ
НОВОСТЕЙ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერ-მოყვარე

● ბუნებრივ და ხელოვნურ ქვებს შორის ის ძირითადი განსხვავებაა, რომ ხელოვნურებს ერთობ მცირე ენერგოინფორმაციული რესურსები აქვს. შესაბამისად, არც არავითარი სამკურნალო თვისება არ გააჩნია

◎ კონტაქტები

კეთილმეზობლობის მცირე იუბილე

საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარების 15 წელი შესრულდა. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ერთან თეზგორი მიიღო. მხარეებმა გაცვალეს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტების, პრემიერ-მინისტრებისა და საგარეო საქმეთა მინისტრების მისალოცი წერილების ასლები აღნიშნულ ღირშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ განვლილი 15 წლის მანძილზე ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლობის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების საფუძველზე დინამიური თანამშრომლობა ჩამოყალიბდა, რომელმაც „ვარდების რევოლუციის" შემდგომ პერიოდში კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებული პარტნიორობის სახე მიიღო. ორმხრივი ურთიერთობების პარალელურად, ახალ განზომილებას იძენს რეგიონალური თანამშრომლობა. მხარეებმა გამოხატეს თავიანთი ნება, რათა მაქსიმალური ძალისხმევა გამოიჩინონ რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებისა და მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის მიზნით. აღსანიშნავია, რომ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიურ ურთიერთობათა 15 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, 2007 წლის 23 მაისს, ქ. ანკარაში საქართველოს საელჩოსა და ევრაზიის სტრატეგიული კვლევის ცენტრის ორგანიზებით გაიმართება საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „საქართველო და თურქეთი: პარტნიორები უსაფრთხოების, სტაბილურობისა და კეთილდღეობისათვის". 24 მაისს კი საქართველოს საელჩოში შედგება აღნიშნული თარიღისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება. ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი.

ᲮᲝ-ᲔᲝᲑ-ᲔᲜᲘ

◎ ინფორმაცია

წინასწარი პატიმრობა მკვლელს

გურამ შარაძის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ გიორგი ბარათელისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებას მედიის დასწრების გარეშე, საქალაქო სასამართლოში გაუგებრობით ხსნიან. სასამართლოს პრესსამსახურში განაცხადეს, რომ პროცესი მოსამართლეს არ დაუხურავს და დაინტერესებულ პირებს დასწრება შეეძლოთ.

— გამოძიებამ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობა სასამართლოში 21 მაისს საღამოს შეიტანა. სასამართლო განხილვა კი, დაახლოებით, 23:00 საათისთვის დაიწყო, — განმარტეს პრესსამსახურში.

შეკითხვაზე, თუ რატომ არ შეატყობინეს მედიას ამის შესახებ, პრესსამსახურში პასუხობენ, რომ ამ დროისთვის პრესსამსახური აღარ მუშაობდა და მედიასაც დაინტერესება არ გამოუჩენია. სპიკერი მოსამართლეები კომენტარის გაკეთებისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ.

გურამ შარაძის ადვოკატი ნინო ნიშნიანიძე კი აღნიშნულ ფაქტს აპროტესტებს და აცხადებს, რომ არც მისთვის და არც შარაძის ოჯახისთვის პროცესის შესახებ არაფერი უთქვამთ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ შორენა გუნცაძემ გურამ შარაძის მკვლელობაში ბრალდებულ გიორგი ბარათელს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა წუხელ მედიის დასწრების გარეშე შეუფარდა. პროცესს არც დაზარალებულის უფლებამონაცვლე, შარაძის ოჯახის არც ერთი წევრი და მათი ადვოკატი არ დასწრებიან.

ბარათელისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების ვადა გუშინ საღამოს იწურებოდა.

„ეს პოლიტიკური მკვლელობაა..."

გურამ შარაძის მკვლელობასთან დაკავშირებით შარაძის ქალიშვილმა გუშინ პირველი კომენტარი გააკეთა.

რუსუდან შარაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას 20 მაისს თბილისში, მელიქიშვილის გამზირისა და შანიძის ქუჩის კუთხეში მომხდარ მკვლელობას პოლიტიკური უწოდა.

— ეს არის პოლიტიკური მკვლელობა და არაფერი სხვა. ყველა სხვა ვერსია, რომელზეც საუბრობენ, სიცრუე და მონაჭორია, — განაცხადა რუსუდან შარაძემ.

მისივე თქმით, შარაძეების ოჯახს შვილის, ლაშა შარაძის პოლიტიკური მკვლელობის, შემდეგ კი მისი მიჩუმათებისა და გამოუძიებლობის მწარე გამოცდილება აქვს.

— აქედან გამომდინარე, ჩვენი ოჯახი უნდობლობას უცხადებს გამოძიებას და სასამართლოს. ჩვენი ოჯახი არ ჩაერევა არც ერთ პროცესში. ვინც დაგეგმა მკვლელობა, ცალ კარში იმან ითამაშოს. მკვლელს, რომელიც დაკავებულია, ოჯახი ბრალს არ წაუყენებს. დაე, ეს სასამართლო იყოს ყველაზე გაუგონარი და სამარცხვინო, — განაცხადა რუსუდან შარაძემ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ

◎ სხვა გაზეთიდან

კეთილშობილი მინერალები კურნავენ

მშვენიერი სქესის წარმომადგენლებმა, საიუველირო მაღაზიებში ძვირფასი ქვებით შემკულ სამშვენისებს რომ იძენენ, ალბათ, არ უწყიან, სილამაზესთან ერთად, როგორი განსაკუთრებული ენერგეტიკა აქვს ამ „ბრჭყვიალა კენჭებს". არადა, მათ პატრონის გათვალვისგან დაცვა და სხვადასხვა სენისგან განკურნება ძალუძს. ზოგი ძვირფასი ქვა ბიბლიაშიცაა მოხსენიებული. ამ და არაბიბლიურ კეთილშობილ ქვებზე, მათს სამკურნალო თვისებებზე მოგვითხრობს გეოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ბატონი ზაურ ძოძრაშვილი.

— სახელდობრ, რომელია ბიბლიური ძვირფასი ქვები და რა თვისებები აქვს მათ?

— სამწუხაროდ, ბევრმა არ იცის, რომ ბიბლიაში — ძველსა და ახალ აღთქმაშიც — მოთხრობილია ძვირფას ქვებზე. ახალ აღთქმაში, იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში (21-ე თავი) ზოდიაქოს ნიშნების შესატყვისი 12 კეთილშობილი ქვა არის დასახელებული: ვერძი — იასპი, კურო — საფირონი, ტყუპები — ქალცედონი, კირჩხიბი — ზურმუხტი, ლომი — სარდონიკსი, ქალწული — სარდიონი, სასწორი — ოქროქვა, ღრიანკალი — ბერილი, მშვილდოსანი — ტოპაზი, თხის რქა — ქალცედონი, მერწყული — ლალი, თევზები — ამეთვისტო. ძველ აღთქმაში, სახელდობრ, მოსეს მეორე წიგნში, ასევე დასახელებულია ფერადი ძვირფასი ქვები, პირველი მღვდელმთავრის აარონის მოსასხამს რომ ამშვენებდა. მათში, ზემოჩამოთვლილის გარდა, მოხსენიებულია ქარვა, აგატი, მარჯანი და ონიქსი.

მაშ, ბიბლიაში მკვეთრად გამოკვეთილი სამკურნალო თვისებების მქონე სულ 16 ძვირფასი ქვა არის დასახელებული. ამჟამად ცნობილი 200 საიუველირო ქვიდან კი სამკურნალო თვისებების მქონე 45 ქვა გამოირჩევა. მათი დადებითი ენერგია 70-მდე დაავადებას კურნავს. ახლა უკვე ცნობილია, რომ ბუნებრივ კეთილშობილ ქვას მისთვის დამახასიათებელი ენერგეტიკული ველი აქვს, რითაც იკურნება ესა თუ ის სენი.

ქვების ამ თვისებებზე კაცობრიობამ უხსოვარი დროიდან უწყოდა. ამის თაობაზე წერდნენ არისტოტელე, ჰეროდოტე, თეოფრასტე, პლინიუს უფროსი და სხვანი. ძველქართული ხელნაწერებიდან ამ მხრივ განსაკუთრებულად საინტერესო „შატბერდის ოთხთავი" — „თვალთაი" (964 წ.) მასში ბიბლიური ძვირფასი ქვების სამკურნალო თვისებებია დახასიათებული.

— როგორ გამოვლინდება ეს თვისებები?

— კეთილშობილი ქვის ენერგეტიკის ადამიანის ბიოველთან შეხებისას, ეს ველები უწყვეტად ცვლის ენერგოინფორმაციას. შედეგად კი, ე. წ. გაწონასწორებული „ბიორეზონანსის" მდგომარეობა მიიღწევა, რაც ადამიანის ბიოველის გაჯანსაღებას და, ამდენად, მრავალი ავადობის განკურნებას უზრუნველყოფს. ჩვენი წინაპრები სრულიად მართებულად მიიჩნევდნენ, რომ ქვა ადამიანისგან ავადმყოფობას გამოსწოვს. ბუნებრივი კეთილშობილი ქვა გათვალვისგანაც გვიცავს — იგი, უპირველესად, ადამიანზე-გარედან ზემოქმედ უარყოფით ენერგიაზე რეაგირებს. ქვა თავად იღებს ამ ენერგიას, შთანთქამს და ფერს იცვლის. სამკურნალო ქვები ტანზე უნდა ვატარით, სამუშაო მაგიდაზე, საძინებელში, ბალიშის ქვეშ და ა. შ. გვედოს. კეთილშობილი ქვების ტარება შეიძლება საყურეებად, გულსაკიდებად, მძივებად, კულონებად, კრიალოსნებად, გასაღებების ბრელოკებად.. რისი მეშვეობითაც ყველაზე უკეთ დგინდება რეზონანსი ქვის დადებით ენერგოველსა და ადამიანის ბიოველს შორის.

ქვების სამკურნალო თვისებების რამდენიმე მაგალითი. ზურმუხტი — ბიბლიური ქვა — იცავს გათვალვისგან, კურნავს ნერვულ სისტემას, ეპილეფსიას, ენაბრგვილობას, გულ-სისხლძარღვთა სისტემას, კუჭ-ნაწლავის ტრაქტს, აამებს ტკივილს თირკმელებსა და ნაღვლის ბუშტში და სხვ. ძოწი კურნავს ანემიას, ნერვულ სისტემას, მელანქოლიას, რევმატიზმს, დეპრესიას, მალარიას და ა. შ. მარგალიტი იცავს გათვალვისაგან, კურნავს ონკოლოგიურსა და ფსიქიკურ დაავადებებს, აღადგენს კანის საფარს (მოტეხილობის დროს), აამებს ტკივილს. ნეფრიტი კურნავს თირკმელებს, კუჭ-ნაწლავის ტრაქტს, შარდის ბუშტისა და შარდმდენი გზების ანთებას, შაკიკს, აუმჯობესებს მხედველობას.

— ბევრ ძველქართულ ხატსა და ჯვარს ძვირფასი ქვებით ამკობდნენ...

— ამას იმიტომ იქმდნენ, რომ ხატების ისედაც კეთილისმყოფელი ზეგავლენა მლოცველებზე კიდევ უფრო გაეძლიერებინათ. ძალზე ყურადღებით შევისწავლე საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული ხატები და აღმოვაჩინე, რომ ბევრ მათგანზე ქვები დაიბინდა. ე. ი. უარყოფითი ენერგია შეიწოვა და ასე დაიცვა ხატები ნეგატიური ზეგავლენისგან.

— საქართველოში დიდი ოდენობით შემოაქვთ იაფფასიანი, ხელოვნური ქვებით მოოჭვილი სამკაულები. ისინი როგორღა ზემოქმედებს ადამიანებზე?

— ბუნებრივ და ხელოვნურ ქვებს შორის ის ძირითადი განსხვავებაა, რომ ხელოვნურებს ერთობ მცირე ენერგოინფორმაციული რესურსები აქვს. შესაბამისად, არც არავითარი სამკურნალო თვისება არ გააჩნია. ასეთი მინერალების დიდხნობით ტარება გრძნობებს აჩლუნგებს. ამიტომ მათი სხეულზე ტარება სასურველი არ არის. ბუნებრივ კეთილშობილ ქვას კი სისუფთავე და მოვლა სჭირდება. ბანაობისას ნუ მოიხსნით. ამას გარდა, თვეში 2-3-ჯერ უნდა გაიწმინდოს. ამით ის დადებითი ენერგეტიკით დაიმუხტება და კარგა ხანს მოგემსახურებათ. ფსიქოლოგებმა რა ხანია შენიშნეს, რომ ის, ვისაც თილისმის სჯერა, უკეთ უმკლავდება სიძნელეებს და უფრო ადვილად აღწევს მიზანს. ხომ ნათქვამია, ნეტარ არიან მორწმუნენიო.

ᲥᲔᲗᲘ ᲛᲦᲔᲑᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ №20

აქეთურ-იქეთური

● ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით გერმანიაში, თითქმის ყოველწლიურად იკრიბებიან გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები და ყველა დონეზე იკვლევენ მათ შესაძლებლობებს. იქნებ, საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და ხელშეწყობით მოხერხდეს კობას ევროპაში გამგზავრება, ან იქნებ რომელიმე ბიზნესმენი დაინტერესდეს მისი ბედით

კობა ფანცხავა

◎ ფენომენი

ეს სასწაულია!

35 წლის კობა ფანცხავა. წყალტუბოს რაიონის სოფელ ხომულის მკვიდრი. დაფიქრებული, ჭკუადამჯდარი, კუნთმაგარი ახალგაზრდა კაცი.

ერთი შეხედვით ძალიან ჩვეულებრივი, მოკრძალებული, ზრდილი იმერელია.

თუ კარგად დააკვირდებით, აუცილებლად შეამჩნევთ, რომ ფართო შუბლი თვალებს ზედმეტად გადმოჯდომია, თავის მოყვანილობაც ისეთი აქვს, იშვიათად რომ გინახავთ.

შვიდი წლისამ დედას, წყალტუბოს ერთ-ერთი სასურსათო მაღაზიის მოლარეს ეთერ ფანცხავას ნავაჭრის დათვლა დაასწრო: დედი, ამდენს რატომ წვალობ, მე ამ ციფრებს წამებში შეგიკრებო!

ერთი კვირის განმავლობაში დედა არ ენდობოდა შვილს, მთლად ბავშვია, რაიმე არ შეეშალოსო. მის დაანგარიშებულს კალკულატორით ამოწმებდა.

არასოდეს შეშლია. როგორც იტყვიან, ციფრი ციფრში, სიტყვა სიტყვაში ჯდებოდა.

რვა კლასის დამთავრების შემდეგ პროფტექნიკურში გაგზავნეს... 18 წლის ასაკში კი ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტში მიიწვიეს, — ეგების მივხვდეთ ასე ზეპირად და ასე ზუსტად როგორ ანგარიშობსო.

რადგანაც კობას „კლასიკური განათლება“ არ ჰქონდა, უნივერსიტეტიდან მალე გულდაწყვეტილი წამოვიდა, ვერავინ ამოიცნო მისი ფენომენალური ნიჭი. უფრო საკვირველი ის იყო, რომ მას სასკოლო საგნებში, მათ შორის მათემატიკაშიც მხოლოდ დამაკმაყოფილებელ ნიშნებს უწერდნენ. უსახსრობის გამო რეპეტიტორებთან ვერ მოემზადა და უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდებიც ვერ დაიჭირა.

მას შემდეგ მხარში უდგას მამაპაპისეულ ოჯახს და ალალ ლუკმა პურს შოულობს. სოფელში თუ ვინმეს რაიმე დასაანგარიშებელი აქვს, კობა ამას უშურველად აკეთებს.

ახლახან პროფესორმა ოთარ აბუთიძემ კობა ფანცხავა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგეს, პროფესორ დავით ნატროშვილს წარუდგინა — ეგების თქვენ მიხვდეთ რა ფენომენთან გვაქვს საქმეო.

კათედრის გამგის კაბინეტში კობას „გამოცდას“ პროფესორი თეიმურაზ ალიაშვილი და რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი ავთანდილ გაჩეჩილაძეც ესწრებოდნენ.

პროფესიონალი მათემატიკოსები ექვსნიშნა, ათნიშნა, თორმეტნიშნა ციფრებს უსახელებდნენ კობას და მას ასევე უზარმაზარ ციფრებზე ამრავლებინებდნენ.

კობა 5-10 წამი ფიქრობდა და პასუხს დაფაზე წერდა.

პროფესორები კალკულატორით ამოწმებდნენ პასუხს და სიხარულით ხელებს შლიდნენ: სწორია, ყოჩაღ, ეს სასწაულია!

ოციოდე წამი დასჭირდა კობას რვანიშნა ციფრიდან, მაგალითად, 69.358.642-დან მეოთხე ხარისხის ფესვის ამოღებას. ეს გახლავთ 91,25...

მართალია, ზუსტია, — გაოცებას ვერ მალავდნენ პროფესორები.

რიცხვების გამრავლება, მიმატება, გაყოფა, ამოფესვა დიდი ხანია კობა ფანცხავას „თამაშად და უჩანს მღერად“

— კობას აქვს საკუთარი, რაღაც ამოუცნობი ალგორითმი, უნივერსალური მეხსიერება, ორიგინალური ტვინი და ის აბსოლუტურად ზუსტად ანგარიშობს. თუმცაღა, ეს ანგარიში ვერ ჯდება მათემატიკური მეცნიერების ჩარჩოებში და არაფერი აქვს საერთო მათემატიკურ კანონებთან — ზუსტად ისე როგორც გოდერძი მახარაძის გასაოცარ უნარს — მილიონჯერ აკენწლოს ბურთი თავით, არაფერი აქვს საერთო დიდ ფეხბურთთან, — ამბობს დავით ნატროშვილი. მას მხარს უჭერენ კოლეგებიც და ერთხმად ამბობენ, რომ კობა ფანცხავას ფსიქოლოგიური ტესტი უნდა ჩაუტარდეს, რომ მისი ფენომენალური, თვითნასწავლი შესაძლებლობების სათავე დადგინდეს.

—მე არავითარი ფსიქოლოგიური ტესტი არ მაინტერესებს, ეგების ვინმე მიხვდეს, სად შეიძლება ჩემი ნიჭის გამოყენება, — მორიდებით ამბობს კობა ფანცხავა.

— ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით გერმანიაში, თითქმის ყოველწლიურად იკრიბებიან გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები და ყველა დონეზე იკვლევენ მათ შესაძლებლობებს. იქნებ, საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და ხელშეწყობით მოხერხდეს კობას ევროპაში გამგზავრება, ან იქნებ რომელიმე ბიზნესმენი დაინტერესდეს მისი ბედით — ამბობს პროფესორი დავით ნატროშვილი.

საოცარია პირდაპირ — რომელ კომერციულ ფირმას არ უნდა აწყობდეს კომპიუტერსა და კალკულატორზე სწრაფად მოაზროვნე — მოანგარიშე კაცი?

წლები გადის. კობა ფანცხავა უკვე 35 წლისაა. თუმცაღა, ეს ის ასაკია, როცა მისი ფენომენალური მეხსიერება ახალ სიმაღლეებს იპყრობს!

სპარტაკ ძოგულია

◎ ინფორმაცია

ქართულ-სომხური დიალოგი

ქართული მხარის ინიციატივით, გუშინ გაიმართა სატელეფონო საუბარი საგარეო საქმეთა მინისტრ გელა ბეჟუაშვილსა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ვართან ოსკანიანს შორის. საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების ცნობით, გელა ბეჟუაშვილმა სომეხ კოლეგას საპარლამენტო არჩევნების წარმატებით ჩატარება მიულოცა. სატელეფონო საუბრისას მხარეებმა განიხილეს ორმხრივი ურთიერთობების პერსპექტივები და რეგიონში შექმნილი ვითარება, გაცვალეს ინფორმაცია საქართველოსა და სომხეთში მიმდინარე პროცესების შესახებ.

„სთრით ბოლი“ თბილისში

თბილისის მერმა გიგი უგულავამ გუშინ შროშის ქუჩაზე „სთრით ბოლის“ სათამაშო მოედანი გახსნა. „სთრით ბოლის“ ტურნირი ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის და ქუჩის კალათბურთის ასოციაციის მიერ არის ორგანიზებული. ქალაქის მერია ზრუნავს ახალგაზრდობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის — არა ნარკომანია, არა დანაშაული, არამედ თავისუფალი დროის შინაარსიანად გატარება, — აცხადებენ მერიაში.

„სთრით ბოლი“ ორიგინალური თამაშია. ერთი კალათბურთის ფარში ბურთის ჩასაგდებად ორი გუნდი ებრძვის ერთმანეთს. თითო გუნდში ოთხი მოთამაშეა, თამაში თანამედროვე მუსიკის ფონზე მიმდინარეობს.

„უსაფრთხოების გაკვეთილი“

საგანგებო სიტუაციათა საქალაქო სამსახურის ვაკე-საბურთალოს რაიონის განყოფილების შენობაში გუშინ მოსწავლეებისთვის უსაფრთხოების წესების საჩვენებელი გაკვეთილი ჩატარდა, რომელსაც ქალაქის მერი გიგი უგულავა ესწრებოდა.

გაკვეთილზე №161 საჯარო სკოლის მე-7 და მე-8 კლასელები იმყოფებოდნენ. მათთვის საჩვენებელი მეცადინეობა მაშველებმა და მეხანძრეებმა ერთობლივად გამართეს.

წარმოდგენილი იყო კედელზე კიბით ასვლა, მაღალსართულიანი შენობიდან ბაგირით დაშვების, დაშავებულის სახლიდან გამოყვანისა და ექსტრემალურ პირობებში განსახორციელებელი ქმედებები.

მოზარდებმა ამავე შენობაში არსებული სახანძრო მუზეუმიც დაათვალიერეს, რომელიც 1981 წელს დაარსდა.

ეპისკოპოსის ძველი ინსტიტუტს

კორნელი კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტს ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილის საარქივო მასალა - პირადი ნაწერები, ფოტოები და წიგნები საჩუქრად გადაეცა. ეპისკოპოსის უნიკალური არქივი ხელნაწერთა ინსტიტუტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ვაჟა კიკნაძემ გადასცა.

პეტრე კონჭოშვილმა XIX საუკუნის ბოლოს იერუსალიმსა და ათონის მთაზე იმოგზაურა. სწორედ მას ეკუთვნის წმინდა მიწაზე ქართული სასულიერო და კულტურული მემკვიდრეობის პირველი დეტალური აღწერა.

ეპისკოპოსმა პეტრემ მოინახულა და აღნუსხა იერუსალიმსა და პალესტინაში არსებული 42 ქართული ეკლესია-მონასტერი, რომლებსაც დღეს ან სხვა კონფესიებს ეკუთვნით ან უკვე განადგურებულია.

იერუსალიმის ექსპედიციის ხელმძღვანელის, პროფესორ თამილა მგალობლიშვილის შეფასებით, ეპისკოპოსის დოკუმენტური მემკვიდრეობა ფასდაუდებელ სამსახურს უწევს ქართველ მეცნიერებს წმინდა მიწაზე არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლაში.

ხელნაწერთა ინსტიტუტში განაცხადეს, რომ ახლად შემოსული მასალა საფუძვლად დაედება ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილის საარქივო მასალის ცალკე ფონდად ჩამოყალიბებას. ფონდი შეივსება პეტრე კონჭოშვილთან დაკავშირებული იმ მასალით, რომელიც დღემდე გაბნეული იყო ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ სხვადასხვა არქივებში.

ინტერპრესნიუსისა და XO-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

◎ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

კითხვა: მეორე მსოფლიო ომში მოხალისედ წავედი და ბევრი რომ არ გავაგრძელო, ომის დამთავრების შემდეგ, ოჯახში ჯანმრთელი, ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული დავბრუნდი. ახლა ღრმად მოხუცი ვარ, მაგრამ ისეთი პენსია არ მეღირსა, წამალი ვიყიდო და თავიც შევინახო. მეუღლეც მცირე პენსიას იღებს. გთხოვთ, განმიმარტოთ, რა ოდენობის პენსია უნდა მეძლეოდეს?

ოთარ კაპიტვაძე

პასუხი: მოქმედი კანონის თანახმად, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, რომლებიც მოქმედ არმიაში იბრძოდნენ 2006 წლის 1 იანვრიდან პენსია ეძლევათ თვეში 70 ლარის ოდენობით.

* * *

კითხვა: ომის დროს კოლმეურნეობაში ვმუშაობდი, „სტახანოველ“ მერგოლურად ვითვლებოდი. ყველა გაზეთში ჩემი სურათი იყო, რაც ახალგაზრდა ქალს ძალიან მახარებდა და შრომის სტიმულს მაძლევდა. შემდეგ (1943 წელს) ორდენით დამაჯილდოეს. გთხოვთ, განმიმარტოთ, რა რაოდენობის პენსია მეკუთვნის, 70 ლარს რატომ არ მაძლევენ?

მირონ მჭედლიძე

პასუხი: თქვენ ბრძანდებით ომის მონაწილესთან გათანაბრებული პირი და არა უშუალოდ — მონაწილე. ამიტომ კანონის თანახმად, პენსია გეკუთვნით თვეში 45 ლარის ოდენობით. 70 ლარი იმ პირებს ენიშნებათ, რომლებიც ფრონტზე იყვნენ და მოქმედ არმიაში იბრძოდნენ.

* * *

კითხვა: თუ შეიძლება, განმიმარტეთ, ეძლევათ თუ არა პენსია ზომიერად გამოხატული შეზღუდული შრომის უნარის მქონე პირებს, ე.ი. მესამე ჯგუფის ინვალიდებს, 2007 წლის 1 იანვრიდან?

კამელა ნიორაძე

პასუხი: 2007 წლის პირველი იანვრიდან „სახელმწიფო პენსიების კანონში“ რაიმე ცვლილება არ შესულა. ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს პენსია იმ შემთხვევაში ეძლევათ, თუ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს მიერ ინვალიდობის მესამე ჯგუფი (ე.ი. ზომიერად გამოხატული შრომისუუნარობის სტატუსი) მუდმივად აქვთ განსაზღვრული 2006 წლის 1 იანვრამდე, ე.ი. „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ კანონის ძალაში შესვლამდე.

მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.

კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

შპს კომპანია „საქთხევად გაზის“ გაკოტრების კრედიტორთა კრება 2007 წლის 18 მაისს საოქმო განჩინებით, გადაიდო 2007 წლის 12 ივნისს 16 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, სხდომის დარბაზი №10 (მისამართი: ქ. წამებულის გამზირი №1).

● როგორც მოსალოდნელი იყო, „ცეკას“ ძალისხმევით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სათავეში ძველი მმართველი ბირთვის დაბრუნებას ოპონენტთა მიმართ ოპერატიულად განხორციელებული რეპრესიები მოჰყვა. ბუნებრივია, შერისხულნი გიორგი ნემსაძის ერთგულების გამო დაისაჯნენ, თუმცა ანტურაჟისთვის ისინი ტრადიციული ფორმულირებით — „საკუთარი განცხადების საფუძველზე“ გადადგნენ (ან აიძულეს, გადამდგარიყვნენ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ რევანში

ახლა მათი დროა

როგორც მოსალოდნელი იყო, „ცეკას“ ძალისხმევით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სათავეში ძველი მმართველი ბირთვის დაბრუნებას ოპონენტთა მიმართ ოპერატიულად განხორციელებული რეპრესიები მოჰყვა. ბუნებრივია, შერისხულნი გიორგი ნემსაძის ერთგულების გამო დაისაჯნენ, თუმცა ანტურაჟისთვის ისინი ტრადიციული ფორმულირებით — „საკუთარი განცხადების საფუძველზე“ გადადგნენ (ან აიძულეს, გადამდგარიყვნენ).

ჯერჯერობით სანქციებს ემსხვერპლნენ თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნუკრი კაკილაშვილი, გენერალური მდივანი რევაზ მგელაძე და საზოგადოებრივი მაუწყებლის თოქ-შოუ „არენას“ წამყვანი ლაშა დვალიშვილი. საინტერესოა, ვინ იქნება შემდეგი?

რაც შეეხება აფხაზეთის რეგიონული ფედერაციის ხელმძღვანელს მურად ანჯაფარიძეს, „ნემსოს“ მხარდაჭერისთვის იგი სფფ ალმასკომს მიღმა 17 მაისის „არჩევნებზე“ დატოვეს.

საკუთარი ინფორმაცია

◎ ბოდიბილდინგი

ნავსი გატყდა

კარგა ხანია ბოდიბილდინგის ქართველ ოსტატებს საერთაშორისო სარბიელზე არ უცდიათ ძალები. ნავსი ამ დღეებში გატყდა ბაქოში, სადაც ევროპის ჩემპიონატზე საასპარეზოდ ჩვენი სამი თანამემამულე გაემგზავრა საკუთარი სახსრებით.



23 ქვეყნის წარმომადგენლებთან დავაში ყველამ დამაკმაყოფილებელი შედეგი აჩვენა, რაც გვაფიქრებინებს, რომ პროგრესი გაგრძელდება და მალე პრიზიორებიც გვეყოლება. რაც შეეხება აზერბაიჯანის დედაქალაქში გამოსვლას, საოქმო მონაცემები ასეთი გახლავთ:

კლასიკური კატეგორია. 170 სმ. ზაურ ურიადმყოფელი (თბილისი) — VI ადგილი. 178 სმ. ვიქტორ გეგეშიძე (გორი) — XV ადგილი;

ტრადიციული დისციპლინა.

100 კგ-ზე ზემოთ. პაატა პეტრიაშვილი (თბილისი) — V ადგილი.

აქვე გაუწყებთ, რომ 3 ივლისს რუსთავი ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლებს.

გარი ამირხანოვი

სურათზე: პაატა პეტრიაშვილი ასპარეზობისას.

◎ ჩემპიონთა ლიგა

სეზონამდე საათებიდან დარჩა

სახელი და გვარი — ჰერბერტ ფანდელი.

ეროვნება — გერმანელი.

პროფესია — მსაჯი.

მიხვდით ყველაფერს? — დიახ, დღეს სწორედ ეს „შაოსანი“ გაუძღვება ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩს „მილანსა“ და „ლივერპულს“ შორის, რომელსაც ათენი მასპინძლობს. მის ტელერეპორტაჟს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი—2“ 22 საათსა და 45 წუთიდან შემოგვთავაზებს.

შარშან პრუსიელ სასტვენოსანს უეფას თასის გათამაშების გადამწყვეტი შეხვედრის წარმართვა მიანდეს და უნდა ითქვას, რომ მართებული არჩევანი გააკეთეს.

სხვათა შორის, დღემდე „როსონერიმ“ ხუთივე ის თამაში მოიგო, რომელსაც ჰერ ფანდელი მსაჯობდა. „ლივერპული“ კი, პირიქით, მისი დირიჟორობით ყოველთვის აგებდა.

რაც შეეხება კახა კალაძეს, მისი მინდორზე გამოსვლა პაოლო მალდინის კონდიციებზეა დამოკიდებული. თუ ანჩელოტი კაპიტანს ენდო, ეს მისთვის მერვე ფინალი იქნება და გაიმეორებს ლეგენდარული ჰენტოს („რეალი“) მიღწევას.

◎ ორბიტაზე

პეიტბოლით — ხულიგნების წინააღმდეგ

დღეს ათენში ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩისას („მილანი“-„ლივერპული“) საბერძნეთის პოლიცია ხულიგნების წინააღმდეგ აპირებს პეიტბოლური იარაღის გამოყენებას. როგორც ამბობენ, პოლიციელების იარაღი გატენილი იქნება საღებავიანი ბურთულებით. ფანატების მასობრივი ჩხუბის შემთხვევაში, პოლიციელები შეძლებენ „შფოთისთავების“ გრძნობაზე მოყვანას — ბურთულების მოხვედრა ძალზე მტკივნეული იქნება და ნიშანდებულიც — საღებავით მოითხვრებიან. შემდეგ კი ადვილი იქნება მათი შეპყრობა.

ჩემპიონთა ლიგის ამ მთავარი მატჩისას წესრიგს 8 ათასი ბერძენი პოლიციელი დაიცავს. მოელიან, რომ შეხვედრის სანახავად ათენში ჩავა 50 ათასამდე იტალიელი და ინგლისელი ფანატი.

„იუვენტუსის“ დაბრუნება

ფეხბურთის გულშემატკივრების გასახარად იტალიის ჩემპიონატის A სერიაში ბრუნდება ტურინის „იუვენტუსი“, შარშან B სერიაში რომ გადაისროლეს იტალიურ ფეხბურთში გამეფებულ კორუფციაში როგორც ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე.

და აი, ჩემპიონატის B სერიის 39-ე ტურში „არეცოსთან“ დიდი ანგარიშით — 5:1-გამარჯვების შემდეგ, ფინიშამდე სამი ტურით ადრე „იუვენტუსმა“ გაინაღდა უმაღლეს დივიზიონში ადგილი. დიდიე დეშამის გუნდი 8 ქულით უსწრებს მეორე საგზურის მთავარ პრეტენდენტს „ჯენოას“, ხოლო 10 ქულით მესამე ადგილზე მყოფ „ნაპოლის“.

ტოპალოვმა „კუდი მოიქნია“

სოფიაში მე-20 კატეგორიის სუპერტურნირზე მასპინძელი — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვესელინ ტოპალოვი თითქოს ჩრდილში იყო, აზერბაიჯანელი მამედიაროვი და ინდოელი საშიკარანი კი ლიდერობდნენ. ბულგარელი ნელ-ნელა მიიწევდა წინ. ბოლო, მე-10 ტურში მძლავრად შეუტია ინდოელს და, შეიძლება ითქვას, ტურნირის დამამშვენებელი პარტია გაითამაშა, ფიგურა სამ გამსვლელ პაიკში გაუცვალა, თუმცა საშიკარანს შეეძლო ყაიმამდე მისვლა, მაგრამ ცაიტნოტში 38-სვლაზე შეცდა და დამარცხდა.

აი, როგორი შედეგებით დამთავრდა ეს სუპერტურნირი: ტოპალოვი — 5,5 ქულა, საშიკარანი, მამედიაროვი, კამსკი, ნისიპიანუ — 5-5 ქულა, ადამსი — 4,5 ქულა.

უდიდესი ბრიტანელი

ინგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტანს, ჯერჯერობით ისევ მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველს დევიდ ბექჰემს საზეიმო ცერემონიაზე გადასცემენ ეროვნულ პრემიას („ბრიტანელებიდან უდიდესი“.) „ლირს შესანიშნავი წვლილისთვის ფეხბურთის მინდორსა და მის გარეთ“, ასევე „უდიდესი ბრიტანელთაგანი საზღვარგარეთ“.



ბექჰემის გარდა 2007 წლის ამ პრემიის ლაურეატები სხვადასხვა ნომინაციებში არიან მომღერალი რობი უილიამსი, ლეგენდარული ბითლი-სერი პოლ მაკარტნი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი, აგრეთვე ჯგუფის The Queen-ის მონაწილენი.

პრემიებს გადასცემენ ცნობილი ინგლისელი პაიროვნებები, მათ შორის დიდი ბრიტანეთის მომავალი პრემიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნი.

◎ წყალხტომა

„გაზაფხულის მერცხლები“, ტრიესტა და სიონი

მინსკში წლეულს მეორედ გაიმართა წყალმხტომელთა ბელორუსის ღია ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს წარგზავნილებმა თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

გვესაუბრება საქართველოს წყალმხტომელთა ნაკრების მწვრთნელი, საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი ირაკლი ბართია.

— **შეჯიბრებაში** მეორედ ვიასპარეზეთ და მინსკელებმა ამჯერადაც შესანიშნავად გვიმასპინძლეს, — მითხრა მან. — მხოლოდ სამი სპორტსმენი გვყავდა წაყვანილი ტურნირზე. ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ჭოლა ჭანტურიამ მეორე ადგილი დაიკავა — მხოლოდ 6 ქულით ჩამორჩა გამარჯვებულს — ევროპის შარშანდელი პირველობის გერმანელ პრიზიორ იოჰანეს დონაის, სამაგიეროდ, მის თანამემამულე კრისტიან ლუინსკის გაუსწრო. არადა, შარშან მსგავს ტურნირზე ჭოლამ ორივესთან დათმო ორთაბრძოლა. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ ამჯერად ქართველმა სპორტსმენმა 477 ქულა მოაგროვა და წინა წლის მსგავსი შეჯიბრების შედეგი მთელი 55 ქულით გააუმჯობესა, თანაც ისეთი სირთულის კოეფიციენტის ხტომები შეასრულა, რომლითაც უფროსებშიც შეუძლია წარმატების მიღწევა.

ამავე დისციპლინაში საერთაშორისო ტურნირებზე დებიუტი ჰქონდა 15 წლის მიხეილ ამბოკაძეს. იგი მე-10 ადგილით დაკმაყოფილდა, რაც ურიგო შედეგი არ არის.

ჭოლა ჭანტურიას სამმეტრიანი ტრამპლინიდანაც შეეძლო მედლის მოხვეჭა. მით უმეტეს, რომ იგი 8 ნახტომის შემდეგ ლიდერობდა. სამწუხაროდ, მე-9 ნახტომი — წინდგომიდან ორნახევარი სალტო უკან კეცვით — არ გამოუვიდა, რამაც საპრიზო ადგილი დააკარგვინა. საბოლოოდ მეოთხეზე გავიდა.

მოგეხსენებათ, სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა ოლიმპიური სახეობაა და მას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. ჭოლამ ამ სახეობაში ხუთი ახალი სავალდებულო ხტომა დაამუშავა და ჯერჯერობით ვერ მოასწრო მათი ბოლომდე დახვეწა. ვიმედოვნებ, რომ საგაისოდ, როცა პეკინში სალიცენზიო მსოფლიო თასი გათამაშდება, ყველაფერი რიგზე იქნება. ჩინეთის დედაქალაქში გასამართი ტურნირი ოლიმპიადის კიდევ 18 საგზურის მფლობელს (12-მა სპორტსმენმა წლეულს ავსტრალიაში მსოფლიო ჩემპიონატზე გაინაღდა თამაშებზე გამოსვლის უფლება) გამოავლენს. არ არის გამორიცხული, მათ შორის ქართველი სპორტსმენიც ვიხილოთ, რადგან ჭოლას დღევანდელი სავალდებულო პროგრამის ქულები სალიცენზიო ნორმატივს უახლოვდება.

სინქრონულ ხტომებში ოთხი წელიწადია, ერთად ვარჯიშობენ ჭოლა ჭანტურია და გიორგი გევორქიანი. წლეულს ავსტრალიაში მსოფლიო ჩემპიონატზე ამ წყვილმა 324 ქულით მე-16 ადგილი დაიკავა. ჩვენმა სპორტსმენებმა მინსკშიც ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს 10-12 წლით უფროსებს და 334 ქულით მე-3 ადგილზე გავიდნენ. ერთ-ერთი რთული ხტომისას რომ არა გევორქიანის უნებლიე შეცდომა, უკეთესი სინჯის მედალსაც გამოჰკრავდნენ ხელს. თუმცა, ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, მთავარი ის არის, რომ ამ წყვილმა 40 დღის წინანდელი შედეგი გაუმჯობესა და გამოიკვეთა ის ხტომები, რომლებსაც მომავალ შეჯიბრებებზე შეასრულებენ.

— ამ სახეობაში თუ შეგვიძლია ლიცენზიის მოპოვება?

— ძნელი სათქმელია, თუმცა გამორიცხული არაფერია. სინქრონულ ხტომებში ოლიმპიადაზე მხოლოდ 8 წყვილი იასპარეზებს. 4 საგზური უკვე გაცემულია. დანარჩენი 4 ადგილისთვის 45 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოლებენ. კონკურენცია დიდია, მაგრამ უბრძოლველად არაფერს დავთმობთ.

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

— 29 მაისიდან 4 ივნისის ჩათვლით მოსკოვის გრან-პრიში ვიასპარეზებთ, რომელიც „გაზაფხულის მერცხლების“ სახელითაა ცნობილი. ივნისის მიწურულს გერმანიის საერთაშორისო ტურნირზე გამოვალთ, სადაც 15 ქვეყნის, მათ შორის — ჩინეთის წარმომადგენლებიც იბრძოლებენ მედლებისთვის. ეს ორი შეჯიბრება, ფაქტობრივად, იქნება მზადება ცხრამეტწლამდელთა ევროპის პირველობისთვის, რომელსაც 23-29 ივლისს იტალიის ქალაქი ტრიესტა უმასპინძლებს.

აგვისტოდან სიონში საწვრთნელ შეკრებას გავივლით და, ფაქტობრივად, იმ პროგრამით მოვემზადებით, რომლითაც მსოფლიო თასზე მოგვიწევს გამოსვლა. ვეცდებით, ულიცენზიოდ არ დავრჩეთ.

ესაუბრა
ვაჟა დანელია

სურათებზე: ჭოლა ჭანტურია ასპარეზობისას; ჭოლა ჭანტურია, მიხეილ ამბოკაძე და გიორგი გევორქიანი მინსკის ტურნირზე.

№ 97. ოთხშაბათი, 23 მაისი, 2007 წელი.

მამულიშვილი

● კომისიის წევრები შეყოყმანებულან, ოქმშიც ასე შეუტანიათ — მეფეს ხელთ ერთმორწმუნე რუსეთისკენ მიპყრობილი ჯვარი უჭირავს; — ყოველივე ინტრიგანების, რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის მტრების მოგონილიაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ თარიღი

დიდი მეცნიერი და პედაგოგი

აკადემიკოს სერგი ნარიკაშვილის დაბადების 100 წლისთავის გამო

100 წელიწადი შესრულდა სასიქადულო მეცნიერის, ჭეშმარიტი პიროვნების, საზოგადო მოღვაწის და მეცნიერების დიდი ორგანიზატორის, აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ სერგი ნარიკაშვილის დაბადებიდან, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლის შეგნებული ნაწილი გაატარა მეცნიერული კვლევის, პედაგოგიური მოღვაწეობის, პრინციპულობის და პატიოსანი ცხოვრების სულისკვეთებით.

დიდია ს. ნარიკაშვილის ღვაწლი ფიზიოლოგთა პლეადის აღზრდის, ფიზიოლოგიური მეცნიერების განვითარების, კადრების მომზადების საქმეში. მან თავისი მოღვაწეობით ღირსეული წვლილი შეიტანა აკად. ი. ვ. ბერიტაშვილის მიერ შექმნილ ქართული ფიზიოლოგიური სკოლის საერთაშორისო აღიარების საქმეში.

უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 1930 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის. ფიზიოლოგიის კათედრაზე ასისტენტად. სამეცნიერო კვლევით მუშაობას იწყებს 1931 წელს ივ. ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით. 1938 წელს ს. ნარიკაშვილს იწვევენ ახლად გახსნილ ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში ფიზიოლოგიის და ბიოქიმიის კათედრის გამგედ, სადაც ჩამოაყალიბა კარგად მოწყობილი ლაბორატორია და თანამშრომლებთან (შ. ჩახნაშვილი, გ. გოგინაშვილი, თ. კახიძე და სხვები) ერთად დაიწყო ადამიანის დაღლისა და აქტიური დასვენების, აგრეთვე ფიზიკურ ვარჯიშებთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის შესწავლა. 1941-1943 წლებში ს. ნარიკაშვილი მეორე მსოფლიო ომის მონაწილეა.

დემობილიზაციის შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში იწყებს მუშაობას ჯერ სწავლულ მდივნად, შემდეგ დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. პარალელურად ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის გამგედ გვევლინება. 1953 წლიდან 1968 წლის ბოლომდე ამ დაწესებულების ხელმძღვანელია.

ს. ნარიკაშვილის მიერ ფიზიოლოგიის ინსტიტუტში შესრულებული შრომები აღინიშნა ი. ბერიტაშვილის (1948) და (1990 წ.) ი. თარხნიშვილის პრემიებით.

პროფ. ს. ნარიკაშვილმა საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ჩამოაყალიბა ქერქისა და ქერქქვეშა წარმონაქმნების ურთიერთმოქმედების შემსწავლელი ლაბორატორია, სადაც მის თანამშრომლებთან ერთად ეწეოდა ნაყოფიერ მუშაობას თანამედროვე ნეიროფიზიოლოგიის აქტუალურ საკითხებზე. სერგი ნარიკაშვილის ნაყოფიერი მეცნიერული კვლევის ამსახველია ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე დაბეჭდილი სამასზე მეტი მეცნიერული ნაშრომი. მისი გამოკვლევები გამოირჩევა საკითხის დაყენებისა და გადაწყვეტის ორიგინალობით, უმწიკვლო მეთოდიკური მიდგომით და მიღებულ მოვლენათა თეორიული ინტერპრეტაციის მაღალი დონით. სწორედ ამ გამოკვლევებმა მოუტანა პროფ. სერგი ნარიკაშვილს დიდი მეცნიერის სახელი და დააყენა იგი მსოფლიოში გამოჩენილი მკვლევარების გვერდით.

ბატონი სერგისთვის არ არსებობდა მთავარი და მეორეხარისხოვანი საქმე. ყველაფერს იგი ერთნაირად, დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდა. მას ახასიათებდა უაღრესად დიდი ინტერესი ექსპერიმენტული კვლევის მაღალ ტექნიკურ დონეზე ჩატარებისადმი, ამიტომაც მისი ხელმძღვანელობით ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველად, ნეიროფიზიოლოგიური კვლევისათვის მეტად საჭირო სტერეოტოქსიკური მეთოდიკის დანერგვა მოხდა. მას ახასიათებდა დიდი შრომისუნარიანობაც; სერგი ნარიკაშვილის ლაბორატორიაში ექსპერიმენტული კვლევის „ცეცხლი ენთო“ შუა ღამემდე და ზოგჯერ გათენებამდე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სერგი ნარიკაშვილის მოღვაწეობა, როგორც მეცნიერების ორგანიზატორისა.

მისი დიდი ღვაწლის შედეგი იყო, რომ ფიზიოლოგიის და ფიზკულტურის ინსტიტუტებმა სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შექმნეს.

სერგი ნარიკაშვილის დიდი სამეცნიერო-ორგანიზატორული ნიჭის შედეგი იყო ფიზიოლოგიის ინსტიტუტის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და საერთაშორისო მასშტაბით აღიარება. ეს გამოიხატა ჯერ ერთი მისი დირექტორობის პერიოდში მსოფლიოს სხვადასხვა ცნობილ ლაბორატორიებთან და მეცნიერებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებაში, ინსტიტუტში სხვადასხვა მიმართულების შექმნაში (ბიოფიზიკა, ნეირომორფოლოგია, რადიობიოლოგია, ჰისტოქიმია, ელექტრონული მიკროსკოპია და სხვ.), კადრების შერჩევაში და თავისი ბოლო პერიოდის მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევებით, რომელიც შეეხებოდა თავის ტვინის არასპეციფიკური წარმონაქმნების ფიზიოლოგიას. იმ პერიოდში ამ საკითხებზე არ მოწვეულა თითქმის არც ერთი საერთაშორისო ფორუმი, სადაც იგი მიწვეული არ ყოფილიყო, როგორც ამ პრობლემის შესწავლის ერთ-ერთი ორგანიზატორი და წამყვანი მკვლევარი, როგორც ძირითადი მომხსენებელი და სპეციალური სიმპოზიუმის მოთავე. იქ ისევე როგორც ყველგან, ჩნდებოდა მისი პიროვნების ბუნება, როგორც დიდი მეცნიერისა და ამავე დროს უაღრესად უბრალო, თავმდაბალი ადამიანისა, რომელთანაც კონტაქტში შესვლა შეეძლო ნებისმიერი ასაკის თუ სხვადასხვა რეგალიების მქონე ადამიანებს.

ბატონი სერგის ასეთი მეცნიერული ავტორიტეტით და პიროვნული თვისებებით იყო განპირობებული, რომ მის ლაბორატორიაში ყოველთვის ჩამოდიოდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან თუ უცხოეთიდან სამუშაოდ, საკონსულტაციოდ თუ მეთოდიკის ასათვისებლად.

დიდია სერგი ნარიკაშვილის დამსახურება აგრეთვე როგორც მასწავლებლისა. იგი პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა სამედიცინო ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში. მან აღზარდა ბევრი ახალგაზრდა მედიკოსი, ბიოლოგი, ფიზიკური აღზრდის დარგში მოღვაწე სპეციალისტი, მრავალი მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი, რომლებიც წარმატებით მუშაობენ როგორც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ლაბორატორიებში, ისე უცხოეთის სამეცნიერო დაწესებულებებში.

რაც შეეხება სპორტის ფიზიოლოგიაში გაწეულ მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას ს. ნარიკაშვილს ბადალი არ ყავდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

ს. ნარიკაშვილმა უდიდესი დახმარება გაუწია სპორტის აკადემიას (ყოფილი ფიზკულტურის ინსტიტუტი) სპეციალისტთა მომზადების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა მრავალი მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი. მისმა შრომებმა აქტიური დასვენების საქმეში მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

ს. ნარიკაშვილის აქტიურობის შედეგი იყო სპორტულ მეცნიერებაში ბევრი ახალი მეთოდის დანერგვა, რომელიც ხელს უწყობდა და უწყობს სპორტული მაჩვენებლების ზრდის კონტროლს და გაუმჯობესებას.

ს. ნარიკაშვილის და შ. ჩახნაშვილის ერთობლივმა შრომამ „აქტიური დასვენების შესახებ“ (1947 წ.) მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

ს. ნარიკაშვილის და ა. წერეთლის ერთობლივმა ნაშრომმა საფუძველი ჩაუყარა სპორტსმენთა სპორტული პროფორიენტაციის წინასწარი შერჩევის აქტუალურ პრობლემებს.

ს. ნარიკაშვილის რეკომენდაციით მეოცე საუკუნის 50-იან წლებში ლ. ჩხაიძე მუშაობას იწყებს უწონადობის პირობებში ფიზიკური ვარჯიშების მნიშვნელობაზე, რომლის შედეგებმა ის მეოცე საუკუნის ბიომექანიკოსთა შორის საუკეთესო ხუთეულში მოახვედრა.

ს. ნარიკაშვილის ხელმძღვანელობით გამოშვებული შრომები საშუალო მთიანეთის პირობებში ფიზიკური ვარჯიშების მიზნებისა და მისი შედეგობრიობის შესახებ მაშინდელი საკავშირო ფიზკულტურის ინსტიტუტებს შორის გამართულ კონკურსში ოქროს მედლით იქნა დაჯილდოებული.

მეცნიერულ და პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ბატონი სერგი ნარიკაშვილი დიდ ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი იყო მრავალი საკავშირო და რესპუბლიკური კონფერენციების, სიმპოზიუმების ჩატარების ორგანიზატორი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი, კრებულების რედაქტორი, საპრობლემო საბჭოების ხელმძღვანელი, თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (ბიუროს) წევრი.

ბატონი სერგის ხანგრძლივი მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რომელსაც ყოველთვის ამშვენებდა მისი ადამიანური თვისებები საუკეთესო მაგალითია მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

ივ. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოება, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია

◎ როგორ გადავურჩით რუსეთის გაბრაზებას

კახური დიპლომატია

ერეკლეს ძეგლს კარგა ხანს მონუსხული შევყურებდი. თელაველი მასპინძლები მოთმინებით მიცდიდნენ. უნებურად მზერა ერეკლეს ხმალზე შევაჩერე:

— რა არის ეს, მეფე ერეკლეს რა უპყრია ხელთ, ჯვარი თუ ხმალი?

მასპინძლებმა ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს:

— რომ იცოდეთ, ამ ძეგლის დამდგმელებმა რამდენი ბრძოლა გადაიტანეს! ჯერ იყო და მოსკოვში აყვირდნენ: — ეს რა ხდება საქართველოში, მეფეთა ძეგლების დადგმა დაიწყესო... (მაშინ ხომ ყველაფერს მოსკოვს უთანხმებდნენ).

— ეს ხომ ის მეფეა, ერთმორწმუნე რუსეთს რომ თხოვა მფარველობა და ტრაქტატს ხელი მოაწერაო, — ჩაუჩურჩულეს მოსკოვს...

ერთხანს მოსკოვიც ჩაჩუმებულა, ფაქტს ხომ ვერსად გაექცეოდა.

რაკი ასეა, ჯანდაბას თქვენი თავიო, გამოუჩენია მოსკოვს „დიდსულოვნება“.

ეს ამბავი სუსლოვამდე მისულა და მასაც პირგამეხებულს აღმოხდომია: რაო, ქართველები ქართველობას მაინც არ იშლიანო, ხომ?

... ასე რომ, ერეკლე მეფის ძეგლი კი დაუტოვებიათ თავის კუთვნილ ადგილზე, მაგრამ მოსკოვს ალიაქოთი შესდგომია (ამბობენ, ამაში ჩვენებურ ინტრიგებსაც უდევსო წილი), მუქარის ნიშნად აქვსო მეფეს ხმალი ჩრდილოეთისკენ მიმართული!

ისევ აფორიაქებულა კრემლი და „კომპეტენტური“ კომისია მიუვლინებია თელავს...

თელაველები ხარხარით იხსენებენ „წინანდლით“ გადაჭარხლულ, თვალებდაელმებულ კომისიის წევრებს, ბარე ასჯერ შემოუვლიათ ირგვლივ ძეგლისთვის და თვალებმოჭუტულნი მისჩერებოდნენ აღმართულ ხმალს. კომისიის ხელმძღვანელს ჯერ კიდევ მოსკოვში ჩასვლამდე მასპინძლებთანვე დასცდენია:

— მეფის ხმალი ჩრდილოეთს ემუქრება, აშკარაა, ქართველები რაღაცას მზაკვრობენო... და ძეგლი აიღეთო!

ამის გაგონებაზე მასპინძლები არ დაბნეულან და სიცილით ჩაბჟირებულან:

— თქვენ რა, ჯვარსა და ხმალს ერთმანეთისგან ვერ არჩევთ? ერთი სარწმუნოება მაინც არ გვქონდეს. მეფე ერეკლეს ერთმორწმუნე რუსეთისკენ მიმართული ჯვარი უპყრიაო...

კომისიის წევრები შეყოყმანებულან, ოქმშიც ასე შეუტანიათ — მეფეს ხელთ ერთმორწმუნე რუსეთისკენ მიპყრობილი ჯვარი უჭირავს; — ყოველივე ინტრიგანების, რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის მტრების მოგონილიაო.

ასე გადაგვირჩინა საკუთარ მიწაწყალზე მდგომი პატარა კახის ძეგლი კახურმა დიპლომატიამ.

ნათელა ფაილოძე

● *თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ,*
ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!

ᲮᲡᲝᲕᲜᲐ

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲨᲐᲠᲐᲫᲔ

სამოცდაექვსი წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ შარაძე.

ქართველ მეცნიერთა რიგებს გამოაკლდა დიდი შრომისმოყვარეობითა და შემოქმედებითი ნაყოფიერებით გამორჩეული, მეცნიერების ორგანიზების უნარით დაჯილდოებული მკვლევარი, რომლის მეცნიერული მუშაობა ყოველთვის იყო მიმართული ქართული მწერლობისა და ქართული კულტურის შეფასება-წარმოჩენაზე. გურამ შარაძე ფართო ფილოლოგიური სპექტრით იკვლევდა ძველს, ახალსა და უახლეს ქართულ ლიტერატურას, ქართული კულტურის მოღვაწეებსა თუ უცხოეთთან კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობებს. მან შეაგროვა და შეისწავლა ქართული ემიგრანტული მწერლობა და ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში შექმნა სრულიად ახალი დარგი — ქართული ემიგრანტული მწერლობის ისტორია. გურამ შარაძემ დიდი ამაგი დასდო საზღვარგარეთ გაფანტული ძველი ქართული ხელნაწერებისა თუ არქივების მოძიებისა და სამშობლოში ჩამოტანის საქმეს. ოცზე მეტი წიგნისა და ასეულობით გამოკვლევის ავტორს ბევრი სამომავლო გეგმა ჰქონდა. დაუმთავრებელი დარჩა მონოგრაფია, წიგნები ვაჟა-ფშაველაზე, იაკობ გოგებაშვილზე... მისი უდროოდ წასვლა ჩვენი მეცნიერებისათვის დიდი და მტკივნეული დანაკლისია.

გურამ შარაძე დაიბადა 1940 წლის 17 ოქტომბერს ოზურგეთის რაიონის სოფელ გურიანთაში. 1963 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1966 წელს — ასპირანტურა, სხვადასხვა დროს იყო თსუ რუსთაველის კაბინეტის თანამშრომელი, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი (1967-72), სწავლული მდივანი (1973-75), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1975-78), ტექსტოლოგიის (1978-85), ინფორმაციისა და ბიბლიოგრაფიის (1985-92), ქართული ემიგრანტული მწერლობის (1992 წლიდან) განყოფილებების გამგე; ქართული ლიტერატურული მუზეუმისა (1992-1993) და თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმის (1994-95) დირექტორი; უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეებისა და საზღვარგარეთ არსებული ეროვნულ ფასეულობათა დაბრუნების საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი.

გურამ შარაძემ 1966 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თეიმურაზ ბაგრატიონი — რუსთველოლოგი“, ხოლო 1975 წელს — სადოქტორო დისერტაცია, რომელიც მიეძღვნა თეიმურაზ ბაგრატიონის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

მეცნიერის მდიდარ მემკვიდრეობაში აღსანიშნავია მონოგრაფიები ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის დარგში. მან შეისწავლა და შეაფასა არაერთი გამოჩენილი რუსთველოლოგის ღვაწლი, რასაც მოწმობს მისი წიგნები: „პლატონ იოსელიანი — რუსთველოლოგი“ (1980), „დავით ჩუბინაშვილი — რუსთველოლოგი“ (1982), „მარი ბროსე და „ვეფხისტყაოსანი“ (1983); გურამ შარაძე ნაყოფიერად მუშაობდა არქეოგრაფიის დარგში, აქ მოპოვებული შედეგები შეჯამებულია წიგნში — „არქეოგრაფიული ძიებანი“ (1973), სადაც შესწავლილია „ვეფხისტყაოსნის“ ძველი და საუკეთესო ხელნაწერები.

საგანგებო ორტომეული მიუძღვნა გ.შარაძემ ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას (1987, 1990), რისთვისაც მას საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა, ასევე უნიკალურია აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი ხუთტომეულის სამი გამოცემული ტომი (2005-2006): „აკაკი წერეთელი. ცხოვრება, მღვაწეობა, შემოქმედება (I ტ.), „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წ.“ (II ტ.), „აკაკი წერეთლის იუბილე 1908 წელს“ (III ტ.).

საზოგადოების ფართო ინტერესი გამოიწვია გ.შარაძის ბევრმა წიგნმა, მათ შორისაა: „მიხაი ზიჩი და ქართული კულტურა“ (1978); „ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე“ (1984), „საქართველოს მზე და სიყვარული ალბინონის კუნძულზე“ (1986), „უცხოეთის ცის ქვეშ“ (1992-1993), „მემედ აბაშიძე“ (1995), „ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება“ (1998), „ისტორიული რელიკვიების დაბრუნება“ (2001), „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“ (2001-2005), „ასე იწყებოდა წმ.ექვთიმე თაყაიშვილი“ (2005) და სხვ.

მეცნიერული კვლევა-ძიების გარდა, გურამ შარაძე ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას. იგი მეცნიერული კადრების გულისხმიერი, ამასთანავე, მომთხოვნი აღმზრდელი იყო.

გურამ შარაძე გახლდათ საქართველო-უნგრეთის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდენტი (1987 წლიდან); ივ. მაჩაბლის საზოგადოების დამფუძნებელი და თავმჯდომარე (1989 წლიდან); ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი; პოლიტიკური მოძრაობა „ენა, მამული, სარწმუნოების“ თავმჯდომარე; მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის წევრი; იგი იყი საქართველოს სახელმწიფო პრემიის, მ. აბაშიძის და ნ. ბერძენიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი; აგრეთვე, დაჯილდოებული იყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ოქროს მედლითა და ვახტანგ გორგასლის ორდენით.

ქართველ მეცნიერებს, ქართველ საზოგადოებას დიდხანს ემახსოვრებათ გურამ შარაძის, როგორც ღვაწლმოსილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სახელი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ᲮᲡᲝᲕᲜᲐ

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲨᲐᲠᲐᲫᲔ

ტრაგიკულად დაიღუპა ღვაწლმოსილი მეცნიერი, ერის მოჭირნახულე, ქართული კულტურის ქომაგი, „XXI საუკუნე — ენა, მამული, სარწმუნოების“ თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი **ᲒᲣᲠᲐᲛ ᲨᲐᲠᲐᲫᲔ**.

უზომოა მისი დამსახურება ერის წინაშე, როგორც მეცნიერის, მწერლის, ქართული ლიტერატურის მკვლევარის და საზოგადო მოღვაწის. საქართველოს დაუტოვა მრავალტომეული ნაშრომებისა — „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტომეულები ილიასა და აკაკის შემოქმედების შესახებ, „თეიმურაზ ბაგრატიონის ცხოვრება და მოღვაწეობა“, „მიხაი ზიჩი და ქართული კულტურა“, „უცხოეთის ცის ქვეშ“ და სხვა მრავალი. ბატონი გურამი თავისი უშრეტი ენერგიით ქართული ეროვნული კულტურის დაცვის სადარაჯოზე იდგა.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარი უბედურების გამო და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

დემურ ბაშელეიშვილი, ზურაბ კაკუშაძე და გურამ გოგიაშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდებული ქართველი მეოცესაუკუნელი

ᲝᲗᲐᲠ ᲮᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილი ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი, და ანნა, ძმისცოლი მარიამი, ძმისწულები ნათელა, ლია-მზია, გივი, დისწულები ქეთინო, ნარგიზა, ცოლისდები ლუდმილა, ვალია, სონია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ᲘᲝᲐᲜᲔ-ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜ-ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

პანაშვიდი 22 V, 16 სთ. გრიბოედოვის ქ. №15, 23 V, ქაშვეთის ეკლესიაში. გამოსვენება 24 V, 10 სთ. ქაშვეთის ეკლესიიდან. დაკრძალვა გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში, გამოსვენება ხვთისმშობლის ეკლესიიდან 15 სთ.

„საქართველოს რესპუბლიკის თანამშრომლები იუწყებიან რომ ჟურნალ „ქაროზის“ რედაქტორს ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილს გარდაეცვალა მამა

ᲘᲝᲐᲜᲔ-ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜ-ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

◎ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲤᲣᲚᲘ ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲦᲘᲐᲗ

ფოთის ღვთისმშობლის ტაძრის აღდგენისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა ეპარქიას ჯერ არ მიუღია. ამის შესახებ ფოთის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის აღდგენის ფონდის დირექტორმა თემურ წურწუმიამ განაცხადა.

— ამ გაუგებრობასთან დაკავშირებით მხარის რწმუნებულს ზაზა გოროზიას შევხვდი და ვისაუბრეთ. გაირკვა, რომ სანამ თანხა ეპარქიამდე მოვა, მანამდე მას ადგილობრივი თვითმმართველობა განაგებს. ფაქტია, რომ ეს თანხა ეპარქიამდე ჯერ არ მისულა,— განაცხადა წურწუმიამ.

— სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოგვიყვეს თანხა, რომელიც ფოთში ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძრის აღდგენითი სამუშაოებისათვის იყო გამოყოფილი. ეს თანხა დანიშნულების ადგილამდე არ მოსულა, — აცხადებს დედა ევდოკია.

ᲧᲘ-ᲔᲘᲩ-ᲔᲜᲘ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ

სს „საქლადას“ დირექტორი იწვევს სააქციო საზოგადოების აქციონერების საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2007 წლის 14 ივნისს. ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი №103, სააქციო საზოგადოების სააქტო დარბაზში 12 საათზე.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ:

1. სააქციო საზოგადოების 2006 წლის წლიური ანგარიშის დამტკიცება;
2. წესდებაში ცვლილებების შეტანა;
3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა;
4. აუდიტორის არჩევა.

დღის წესრიგის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საზოგადოების დირექტორატში.

კრების მუშაობაში მოწვეულნი არიან აქციონერები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი „თაგერტ & სექტიურთი“ 2007 წლის 1 მაისის მდგომარეობით. მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ რეგისტრატორის ოფისში, ან საზოგადოების დირექტორატში.

თბილისი, 2007 წლის 22 მაისი.

სს „პეგასის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

2007 წლის 25 ივნისს 12 სთ-ზე გაიმართება სს „პეგასის“ აქციონერთა საერთო კრება საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: ქ. მარნეული, დ. აღმაშენებლის ქ. №1.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ:

1. განვლილი წლის სამეურნეო შედეგების განხილვა;
2. სხვადასხვა.

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო დღედ განსაზღვრულია 2007 წლის 22 მაისი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

2007 წლის 15 ივლისს 16 საათზე გაიმართება ს/ს „ინუმშენის“ აქციონერთა საერთო კრება საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: კოსტავას ქ. I შესახვევი №33.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ:

1. განვლილი წლის სამეურნეო შედეგების განხილვა;
2. დირექტორატის შემადგენლობაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანა;
3. აუდიტორის არჩევა.

ᲡᲐᲛᲔᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲔᲝ ᲡᲐᲑᲭᲝ

შპს „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡ“ სალიკვიდაციო საქმესთან დაკავშირებით ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 აპრილის საქმე №2/114-ის განჩინების თანახმად ლიკვიდატორად დანიშნულია კახა შავგულიძე.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, წარმოადგინონ თავიანთი პრეტენზიები მიმდინარე წლის 2 ივნისამდე, მისამართზე: ქ. ზესტაფონი, ზაპოროჟიეს ქ. №1.

ბოლო გვერდი

● ვხვდებოდით მეგობრულად, ვხვდებოდით შუბლგახსნილნი. „შენ, რაღაცა დამივიწყე, რატომ არაფერს წერ ჩემზე?“ — მეტყოდი ხუმრობით

◎ შეჩერებული წამი

მიუხვალ მამა-პაპათა!..

ეს სურათი გუშინ მოვიძიე, ჩემო გურამ! მახსოვდა, ამ ოცდახუთი წლის წინათ რომ გადაგვიღო გოგი გოგოხიამ გაზეთ „კომუნისტის“ ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში. შენ ახალი ჩამოსული იყავი ინგლისიდან და 800000 ტირაჟით გამომავალ გაზეთში მკითხველს, ანუ მთელ საქართველოს აცნობდი მასალებს უორდროპების და ილია ჭავჭავაძის სამაგალითო ურთიერთობის შესახებ.

სწორედ მაშინ იწყებოდა შენი პოპულარობა, როგორც მუხლჩაუხრელი, ერის წარსულითა და დღევანდელობით გულანთებული მეცნიერი-მკვლევარისა. ამ პუბლიკაციებმა მკითხველთა მოწონება დაიმსახურეს. თუმცა, უმალ გამოგიჩნდნენ მოშურნენიც, ტალახის მსროლელნიც. ზოგი ზერელობას გწამებდა, ზოგიც სუკის აგენტად გნათლავდა (როგორ ახერხებს ასე მიმოსვლას საზღვარგარეთო)... შენ შენი არჩეული გზით განაგრძობდი სვლას, ერის წყლული გაჩნდა წყლულად, იქით ქართულ ემიგრაციასა და ემიგრანტულ ლიტერატურას უჭირისუფლე, აქეთ ილიასა და აკაკის... რამდენ საქვეყნო რამეს, რამდენ საშვილიშვილო რამეს, ჩემო გურამ! აოცებდი მტერ-მოყვარეს შენი დაუცხრომელი ენერგიით, „როგორ ასწრებს, როგორ ასწრებს“, უკვირდა ყველას... შენ, თურმე, მართლა მოსასწრებად გქონია საქმე, თურმე ასე ეწადა წერამწერალს... მიუხვალ მამა-პაპათა ვალმოხდილი, დამაშვრალი, გულნატკენი — შენი საყვარელი „გაგლობალიზებული“ სამშობლოს, სულიერების დაცემის გამო...

ვხვდებოდით მეგობრულად, ვხვდებოდით შუბლგახსნილნი. „შენ, რაღაცა დამივიწყე, რატომ არაფერს წერ ჩემზე?“ — მეტყოდი ხუმრობით.

„ახლა შენს სიმაღლეს მე რაღას შევწვდები, გურამ ბატონო...“ და ვიცინოდით გულიანად.

ვაი რომ, გამოსათხოვარი დავწერე შენზე! ნათელში იყავ!..

ვილენ მარდალეიშვილი

სურათზე: გურამ შარაძე, რუსუდან მუხიგულაშვილი, ლარისა ხუბულური, ნანა ღვინეფაძე, ვილენ მარდალეიშვილი. (1984წ.)

◎ სულიერება

ღირსი დოდო გარეჯელი

23 მაისს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ღირს დოდო გარეჯელს. ის წარმოშობით კახელი თავადი იყო, ანდრონიკაშვილთა გვარიდან. ღირსი დოდო ნინოწმინდაში მოღვაწეობდა.

... ღირსმა დოდომ როცა გაიგო ცამეტი ასურელი მამის საქართველოში ჩამოსვლა, უმალვე დავით გარეჯელს დაემოწაფა. დავითს მოეწონა დოდო გარეჯელის სარწმუნოებრივი სიმტკიცე და უთხრა, ასულიყო კლდის წვერზე, გაეშენებინა სენაკები და იქ წაეყვანა თანამოსაგრეები.



ღირსი დოდო სიხარულით დაემორჩილა ბრძანებას და კლდის რქაზე გამოკვეთა ქვაბი წყლის შესაგროვებლად, აგრეთვე სენაკები იქ მოღვაწე ძმების საცხოვრებლად. შემდგომ ააშენა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი. თვითონ ღირსი დოდო დაეყუდა ერთ ვიწრო ნაპრალში, ზამთარ-ზაფხულ, დღე და ღამე, სიცხესა და ყინვაში სინანულის ცრემლებით ევედრებოდა უფალს ცოდვათა მიტევებას, ძმათა გაძლიერებას და ქვეყნის მოქცევას ჭეშმარიტ სჯულზე!

ღრმა სიბერემდე მოღვაწეობდა ღირსი დოდო მის მიერ დაარსებულ მონასტერში.

სულიერმა შვილებმა სენაკშივე დაფლეს მისი წმიდა გვამი. შემდგომ მის საფლავზე ეკლესია აშენდა.

მოამზადა
გიული ლიპარტიამ

◎ ინფორმაცია

გაისად, კანში

ეროვნული კინოცენტრი კანის კინობაზრობაზე ქართული კინოპროდუქციის ფართოდ გატანას 2008 წლისთვის გეგმავს. მომავალ წელს საქართველო პირველად იქნება წარმოდგენილი საკუთარი პავილიონით. პირობების შესასწავლად და საჭირო კონტაქტების დასამყარებლად კინოცენტრმა კანის მიმდინარე ფესტივალზე ორი თანამშრომელი, ნინო ანჯაფარიძე და ანა ძიაპშიპა მიავლინა.

ნინო ანჯაფარიძემ განაცხადა, რომ საქართველოს პავილიონი ბერლინის ფესტივალზე მოქმედებდა და ეს გამოცდილება საქართველოს ეროვნულ კინოცენტრს კანის ფესტივალზე კინოპროდუქციის წარმოჩენას გაუადვილებს.



ინტერპრესნიუსი

განცხადება

დაიკარგა შავ საქაღალდეში ჩადებული საბუთები. მპოვნელი დასაჩუქრდება.

ტელ: 899 53-22-99.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

98-96-32; 899 328576

◎ ანეკდოტები

— რა არის პარამეტრული გამაძლიერებლები? — ეკითხება პროფესორი მიხოს.

— ეგ ხომ უკვე გავიარეთ.

— სწორია! მომეცი ჩათვლის წიგნაკი!

* * *

ტიპი ნაზად იკრავს გულში ქალს და ეკითხება:

— მე შენი პირველი მამაკაცი ვარ?

— შეიძლება. გიყურებ და ვფიქრობ, სად შეიძლებოდა ადრე შეგხვედროდი?

* * *

— **მიხო**, რად უწოდე მაროს სულელი? ახლავე მიდი მასთან და უთხარი, რომ წუხარ ამის გამო.

— მარო, ძალიან ვწუხვარ, რომ სულელი ხარ!

* * *

— **მამი**, ნახე, რა საშინელი მაიმუნი ზის იმ გალიაში!

— ყოჩაღ, შვილო, კარგია, რომ გამახსენე, დედაშენმა მთხოვა, სადილზე არ დააგვიანოთო.

* * *

ასაკოვანმა ქალბატონმა მხატვარს სურათის დახატვა შეუკვეთა.

— ოღონდ კისერზე ბრილიანტის ყელსაბამი უნდა მეკეთოს, ყურებზე ასევე ბრილიანტის საყურეები უნდა მქონდეს, მაჯას ოქროს „როლექსი“ მიმშვენებდეს და თითებზეც ბრილიანტის ბეჭედი ბრწყინავდეს.

— მაგრამ თქვენ ხომ არც ერთი ეს ნივთი არა გაქვთ. რად გინდათ ისინი ტილოზე?

— თქვენ დახატეთ. მე ამ ტილოს სახლში დავკიდებ. ჰოდა, წარმოიდგინეთ, თუ ქმარზე ადრე მოვკვდი, ის ბებერი ხვადი მაშინვე დაქორწინდება ახალგაზრდა ქალზე. აი, ნეტავი მაშინ განახათ, როგორ გაიტანჯება ის ქალი ამ ნახატზე გამოსახული ძვირფასეულობების ძებნით!

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“ **98-96-32; 899 328576**

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

98-96-32;
899 328576

◎ კადრი

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „ბაქსიმეშვი“. მ. პოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14. ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1“ ძიზიყის ქ. № 12. ტ: 899 797679; 98-96-32.

ბეჭდავს გამომცემლობა „პოლარის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
ოთარ ტურაბელიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაბეჭდილია ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, შეიძლებ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.